პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საგზოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 5 (12517) | კვირა, 6 იანვარი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

კომუნისტთა მაღალი პასუხისმგებლობა

დაიწყო ახალი წელი, მეშვიდე-მეტად დიდი შრომისა და ახალ წარმატებათა წელი. და კვლავაც ამ გმირულ ბრძოლას, რასაც მთელი საბჭოთა ხალხი ეწევა თავისი ნათელი მომავლისათვის, დღენიადაგ ასაზრდოებს, მეტ სინათლეს და ენერგიას მმატებს, ახალი შინაარსით ავსებს მშობლიური კომუნისტური პარტია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დედაარი ის არის, რომ უკეთ გამოვიყენოთ ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის უდიდესი რეზერვები და შესაძლებლობანი კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის დასაჩქარებლად. სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესება მეტ საშუალებას იძლევა ჟღერთანადულ კომუნისტთა, მშრომელთა მილიონიანი მასების გიგანტური ენერგია ქვეყნის ეკონომიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადასაწყვეტად.

„კომუნიზმის გაშლილი მშენებლობის პერიოდში, — ნათქვამია სკკპ პროგრამაში, — კიდევ უფრო მაღლდება პარტიის ჩვენის როლი და პასუხისმგებლობა. კომუნისტი მოგვალეა წარმოებაში, საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში მთელი თავისი ძალებით გვიჩვენებდეს კომუნისტური ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლის მაღალ ნიმუშებს, იცავდეს კომუნისტური მორალის პრინციპებსა და ნორმებს“.

ჩვენი ეკონომიკის ზრდის, შვიდწლედის მეხუთე წლის ამოცანები სულ უფრო და უფრო მეტ პასუხისმგებლობას მოითხოვენ თვითეული კომუნისტისაგან. სადაც არ უნდა მუშაობდეს იგი, ყველაფერს უნდა ეტყობოდეს კომუნისტის, როგორც ყველაზე მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ადამიანის, ხელი.

ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გასცდა ბევრი შესანიშნავი კომუნისტის, კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებლის სახელი. ვინ არ იცნობს თბილისის ელმავალსამშენებლო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელს ვასილ პაპინაშვილს, რუსთაველ მეტალურგებს ამირან ფანცულაიასა და არჩილ ძამაშვილს, ბათუმის მანქანათსამშენებლო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელს ვალერიან ჯაშს და წარმოების სხვა მრავალ ოსტატს.

ასობით მოწინავე მეჩაიე აღზარდა ორგზის სოციალისტური შრომის გმირმა, ზუგდიდის საწარმოო სამმართველოს ახალსოფლის კოლმეურნეობის ბრიგადირმა თამარ ყუფუნიამ. მისმა ბრიგადამ 1962 წელსაც წარმატებით შეასრულა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გეგმა.

ამ და სხვა მრავალი კომუნისტების შრომა და ცხოვრება ძვირფასი მაგალითია სხვებისათვის. მათ კარგად იციან, რომ ახლაც, როცა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხი განიხილა და შეხანმისი გადაწყვეტილება მიიღო, საჭიროა ყველა კომუნისტის გულმოდგინება მოხმარდეს ნაყოფიერ შემოქმედებითს შრომას, რომ ყველა კომუნისტი მაღალი შეგნებით ეკიდებოდეს საბჭოთა ეკონომიკის განვითარებას. წარმოება — აი კომუნიზმისათვის ბრძოლის მთავარი ფრონტი.

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქრო სისტემატურად რომ ასრულებს ხახელმწიფო გეგმებს, ამაში დიდი საიდუმლოება როდია. საამქროს კოლექტივის შემოქმედებითს შრომას უნარიანად, მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით წარმართავენ პარტიული ორგანიზაცია და თვით საამქროს უფროსი, კომუნისტი ბ. ფერეთელი. მაგრამ, კარგად უხელმძღვანელო, ხომ არ ნიშნავს იმას, რომ მარტო გეგმები შესრულო? ბ. ფერეთელმა კარგად იცის, რომ იგი, როგორც კომუნისტი, მოვალეა სისტემატურად ზრუნავდეს ახლისათვის, ტექნიკური პროგრესისათვის. მან ერთ-ერთმა პირველმა დააყენა დგან „400“-ის სრული ავტომატიზაციის საკითხი, რომლის განხორციელებამ უდიდესი ეკონომიური ეფექტი გამოიღო.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა კომუნისტი ასეთი პასუხისმგებლობით როდი ეკიდება მინდობილ საქმეს. ზოგიერთი, რომელიც ჯიბით პარტიულ ბილეთს ატარებს, სულაც არ წუხს იმაზე, რომ ქარხანა ან კოლმეურნეობა, სადაც იგი მუშაობს, ჩამორჩა და საწარმოო გეგმებს ვერ ასრულებს. უფრო მეტი. იმის ნაცვლად, რომ პასუხისმგებლობის გრძნობა სხვას გაუღვიძოს, ზოგჯერ თვითონ კომუნისტს აკლია ეს გრძნობა, ზარმაცობს, რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობაში იმათ შორის, რომელთაც წელს შრომის სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებიათ, პარტიის წევრებიც არიან.

აი კომუნისტთა პასუხისმგებლობის ორი მაგალითი ერთი საწარმოდან. ქუთაისის № 8 სამკერვალო ფაბრიკის № 2 საამქროში ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი გ. ნაცვლიშვილი ხელმძღვანელობს, გასული წლის პროდუქციის გამოშვების დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა, მაშინ, როცა კომუნისტ ვ. სილაგაძის ბრიგადა საგრძნობლად ჩამორჩა, რაშია საქმე, იქნებ მუშაობის პირობები სხვადასხვა იყო? საქმეც სწორედ ის არის, რომ ორივე ბრიგადას მუშაობის ერთნაირი პირობები ჰქონდათ, მაგრამ მონდომება, პასუხისმგებლობა— სხვადასხვა.

— ასეთი უპასუხისმგებლო კაცი ჩვენ არ გვინდა! — განაცხადეს ამას წინათ თელავის რაიონის სოფელ ქორეთის კოლმეურნეებმა საერთო კრებაზე თავიანთი თავმჯდომარის ალექსანდრე ქოჩიშვილის მიმართ და იგი სამართლიანადაც გაათავისუფლეს მოვალეობისაგან.

რატომ აქციეს ზურგი თანასოფელებმა კომუნისტ ქოჩიშვილს? იმიტომ, რომ მან ჩაშალა მუშაობა, კოლმეურნეობაში არცერთი კულტურის მოსავლიანობის გეგმა არ შესრულებულა, ბოლოს სინდისიც დაკარგა და თვალისახვეევის გზას დაადგა. მან თელავის საწარმოო სამმართველოს 300 ტონა სილოსის ჩადების შესახებ ყალბი ცნობა გაუგზავნა.

ახლა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელთა წინაშე უდიდესი ამოცანები დგას. მიმდინარეობს სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების რემონტი, საგაზაფხულო თესვისათვის მზადება. ჩაის პლანტაციებში გრძელდება ნიადაგის დაბარვა სასუქების შეტანით, ციტრუსოვანთა ნარგავების დაცვა ყინვისაგან, ხეხილის ნარგავების გასაშენებლად ნიადაგის მომზადება და სხვ. იმაზე, თუ როგორ წარმართავთ ამ სამუშაოებს, დიდად არის დამოკიდებული მიმდინარე წლის, შვიდწლედის მეხუთე წლის, უხვი მოსავლის ბედი. ამისათვის კი პირველ რიგში უნდა იზრუნონ კომუნისტებმა, სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა.

კომუნისტთა პასუხისმგებლობა რომ სათანადო სიმაღლეზე ყოფილიყო, მაშინ არ იქნებოდა საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში ასეთი ჩამორჩენა ახალქალაქის რაიონის ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში. აქ საგაზაფხულო თესვისათვის 61.503 ცენტნერი თესლი უნდა მოამზადონ, მაგრამ კონდიციური თესლი მხოლოდ 11.222 ცენტნერი აქვთ. საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში ჩამორჩებიან გორის, სიღნაღის, ბოლნისის და სხვა საწარმოო სამმართველოთა კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

ზოგჯერ პარტიული კომიტეტები აშკარა ლიბერალიზმსა და შემრიგებლობას იჩენენ კომუნისტების მიმართ, რომელთაც ერთ ადგილზე ჩაშალეს მუშაობა. ამხანაგმა ნ. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე ამის შესახებ თქვა:

„ჩვენ განუხრელად უნდა ვხელმძღვანელოდეთ ვ. ი. ლენინის იმ მითითებით, რომ პარტიის წევრებს არა აქვთ არავითარი უპირატესობა და პრივილეგია დანარჩენ მშრომელთა წინაშე, მათ ხალხისა უფროს საპატიო მოვალეობა აკისრიათ“.

დიახ, დიდი მოვალეობა, დიდი პასუხისმგებლობა პარტიისა და ხალხის წინაშე — აი რით განირჩევა კომუნისტი სხვებისაგან. ჭკვიდეს ასეთი მოვალეობა და პასუხისმგებლობა — ნიშნავს: იზრდებოდე და ეხმარებოდე სხვასაც ზრდაში, მუდამ ხედავდე ახალს, პროგრესულს და ბჯას უკაფავდე მას, აღიჭურვო სახალხო ხდობით, და არა მარტო სიტყვით, არა მოქალაქეობრივი მოვალეობის უბრალო მოხდის მიზნით, არამედ საქმით, პრაქტიკულად ჩაუდგე სათავეში უპარტიო მასებს და გაიყოლიო ისინი პარტიის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის საბრძოლველად.

ამჟამად ჩვენს რესპუბლიკაში მიმდინარეობს საწარმოო სამმართველოებისა და ზონალური სამრეწველო-საწარმოო პარტიული კონფერენციები. ამოცანა ის არის, რომ ამ კონფერენციებმა განაწესები მისცენ საწარმოო სამმართველოთა ახლად არჩეულ პარტიულ კომიტეტებს — ყოველდღიურად ღრმად ჩასწვდნენ წარმოებას, იბრძოლონ მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვისათვის, უფრო მეტად აამაღლონ თვითეული პარტიული ორგანიზაციის, თვითეული კომუნისტის პასუხისმგებლობა კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში დირსეული წვლილის შესატანად.

როგორ ემზადებიან საგაზაფხულო თესვისათვის?

მინდორი ელის ჯანსაღ მანქანას

ბარგა ხანია საკოლმეურნეო ველმიდგომებში შეწყდა კომბაინების გუგუნი, ტრაქტორებმაც პირი სახელოსნოებისაკენ იბრუნეს. მთელ წელიწადს ნაჯაფარ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებს ახლა მექანიზატორები „მკურნალობენ“ —არემონტებენ, წმენდენ, რომ შვიდწლედის მეხუთე წლის გაზაფხულს მომზადებული შეხვდნენ და აგროვადებში ჩაატარონ თესვა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები ფრთებს ისხამს, სოფლად ახლა დიდი ძვრები ხდება. მექანიზატორები ამ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის გაჩაღებული ბრძოლის ავანგარდში არიან. ამაზე მეტყველებს ციფრები. პირველი იანვრისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შეკეთებული იყო 1.801 ტრაქტორი, 52 კომბაინი, 903 გუთანი, 331 სათესი და 202 კულტივატორი.

სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტის საქმეში დაწინაურდნენ თელავის, გურჯაანის, გორის, ცხაკაიას საწარმოო სამმართველოთა მექანიზატორები. გურჯაანის საწარმოო სამმართველოში 111 ტრაქტორი სრულ მზადყოფნაშია. შეკეთებულია 127 გუთანი და 53 სათესი. გურჯაანელმა მექანიზატორებმა არა მარტო თესვისათვის, არამედ კულტივაციისა და სხვა სამუშაოთა აგროვადებში ჩატარებისათვის დროულად დაიწყეს მზადება — შეაკეთეს 53 კულტივატორი და 12 კომბაინი.

მაგრამ ყველგან ასე როდია. ზოგიერთი საწარმოო სამმართველოს მექანიზატორებმა დაიგვიწყეს, რომ „ზამთარი ზაფხულის მუშაა“. მთიანი ზონის რაიონებში თოვლი დადო, ბარში წვიმს. ასეთ ამინდში მექანიზატორები უქმად როდი უნდა იყვნენ. ახლა, ასე ვთქვათ, მანქანები ისვენებენ. სწორედ ახლაა დრო მიეხედოთ ტექნიკას, გულდასმით შეეკეთოთ ყოველი დაზიანებული დეტალი, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ საგაზაფხულო თესვის პერიოდში მანქანები შეუფერხებლად მუშაობდნენ.

გაზაფხულის დადგომამდე ორიოდე თვე დარჩა. ზოგიერთი მედღეხეალეე გულს იმით იმშვიდებს, რომ ფიქრობს, მოვასწრებ ტექნიკის შეკეთებასო. სწორედ ამისთანებზეა ნათქვამი „მედღე-ხვალეს მოუგვიანდებაო“. ბოლნისის საწარმოო სამმართველოში პირველი იანვრისათვის მხოლოდ 40 ტრაქტორი, 14 გუთანი, 6 სათესი და 4 კულტივატორი იყო შეკეთებული. როგორც ჩანს, ბოლნისელები გაზაფხულისათვის მზადების საკითხს სადღეისოდ არ თვლიან და ხვალს იმედით დრო ხელიდან ეცლებათ. მათ უნდა შეეახსენოთ: გაზაფხული კარს მოკაკუნებს და მერე გვიან იქნება.

სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებისა და ტრაქტორების რემონტის საქმეში ავტონომიური რესპუბლიკები. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს, მექანიზატორებს უნდა მოვაგონოთ გასული წლის საგალო მაგალითები, როცა ჯერ კიდევ საგაზაფხულო თესვა გაუჭიანურდათ, ხოლო შემდეგ სათორნინ კულტურების მოსავლის აღება. მიმდინაოე წელსაც ოგივე რომ არ გამეორდეს, მათ მთელი ენერგია დაძაბვით უნდა იმუშაონ, რომ დროულად დაამთავრონ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების რემონტი და აგროვადებში ჩატარონ საგაზაფხულო სამუშაოები.

უქმად არ დაკარგონ არც ერთი წუთი, დროულად და მაღალხარისხოვნად შეასკეთოთ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანები, მომზადებული შეხვდეთ შვიდწლედის მეხუთე წლის გაზაფხულ — ასეთია სოფლის ყველა მშრომელის სადღეისო ამოცანა.

თესვა უთესლოდ?

მიმდინარე წლის ბარაქიან მოსავლს სწორედ ახლა ეყრება საფუძველი, როცა საგაზაფხულო თესვისათვის მზადების გადამწყვეტი პერიოდი დადგა.

თესვისათვის მზადების მნიშვნელოვანი უბანია მაღალხარისხოვანი თესლით უზრუნველყოფა. ზოგან ეს დროულად გაითვალისწინეს, და შედეგიც სასახელოა. ამ მხრივ ქების ღირსია გურჯაანის რაიონი, სადაც მარცვლეულისა და სამარცვლე პარკოსანი კულტურების კონდიციური თესლი აქვთ 2.338 ცენტნერი ნაცვლად 2.054 ცენტნერისა. ასევე კარგად არის საქმე ყვარლისა და თელავის რაიონებში.

სამწუხაროდ, ამას ვერ ვიტყვით ახალქალაქის რაიონის შესახებ. აქ პირობა ჰქონდათ დადებული, რომ შვიდწლედის მეოთხე წლის 20 დეკემბრისათვის შეამოწმებდნენ და კონდიციამდე აიყვანდნენ 61.503 ცენტნერ ხორბლის, სიმინდის, ბარდის სათესლე მასალას. ფაქტიურად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა პირობა ქარს გაატანეს და მიუხედავად ვადის გასვლისა, 1 იანვრისათვის კონდიციური თესლი ჰქონდათ მხოლოდ 11.222 ცენტნერი.

სიღნაღის რაიონში წელს გეგმით საგაზაფხულო კულტურების დასათესად 4.089 ცენტნერი თესლი უნდათ. მაგრამ რატომღაც არ ჩქარობენ თესლის მომზადებას. 1926 ცენტნერი სათესლე მასალა უკონდიციო აქვთ. გეგმით გათვალისწინებული 395 ცენტნერი ბარდის სათესლე მასალიდან 196 ცენტნერი სიწმინდით უვარგისია.

საინტერესოა, რას ფიქრობენ ხაშურის რაიონში, როცა საგაზაფხულო კულტურების დასათესად კონდიციური თესლი მხოლოდ 8,3 პროცენტი აქვთ. აქ სიმინდის მთელი სათესლე მასალა ტენიანია.

საგაზაფხულო კულტურების დასათესად თესლის მომზადების მხრივ საგანგაშო მდგომარეობაა თიანეთის რაიონშიც. აქ ჯერ კიდევ არც ერთი ცენტნერი ხორბლის, ქერის, სიმინდის, ბარდის სათესლე მასალა არ აუყვანიათ სრულ კონდიციამდე. გორის რაიონში 6.570 ცენტნერი სათესლე მასალიდან კონდიციური აქვთ მხოლოდ 851 ცენტნერი. ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც სამტრედიის, მახარაძის, ბოლნისის, მარნეულისა და სხვა რაიონებშია.

საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო თესლეულის სამმართველოში არსებული ცნობები მეტყველებენ, რომ საერთოდ რესპუბლიკაში საგაზაფხულო კულტურების დასათესად თესლის მომზადების მხრივ არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა. მართალია, კოლმეურნეობებში გეგმით გათვალისწინებული 226.405 ცენტნერი სათესლე მასალიდან კონდიციურია მხოლოდ 101.897 ცენტნერი, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში — 60.684 ცენტნერი სათესლე მასალიდან 13,672 ცენტნერი. განა ეს სამარცხვინო არ არის? წესით აღნიშნული სათესლე მასალა კონდიციამდე უნდა აეყვანათ ჯერ კიდევ გასული წლის 20 დეკემბრისათვის.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ საგაზაფხულო თესვის კარგად მომზადება და მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩატარება აუცილებელი პირობაა მომდინარე წლის მარცვლეულის უხვი მოსავლის მისაღებად.

ზრომის ვახტზე

შვიდწლედის მეხუთე წლის პირველი დღეები

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის კოლექტივმა სასახელო მაჩვენებლებით დაამთავრა გასული წელი. გეგმის გადამტებით სამშობლოს მისცა რამდენიმე ათეული ჩარხი. წარმატებით დაიწყო შვიდწლედის მეხუთე წელიც. საწარმოს კოლექტივმა იანვრის ხუთი დღის დავალება გადაჭარბებით შეასრულა. ბრიგადა ბ. ბიბილეიშვილი უძღვება. ეს კოლექტივი ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

სურათზე: № 3 საამწყობო საამქროს ოსტატი ს. ჯიოევი (მარჯვნივ), ტექნიკური კონტროლიორი ჯ. თოფურია, გამომცდელი ზეინკლები ლ. ოსიანოვი და მ. ყეინაშვილი არჩევენ ასაწყობი ჩარხების ნახაზს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲓᲘᲓᲘ ᲒᲐᲓᲐᲭᲐᲠᲑᲔᲒᲘᲗ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). ᲐᲒᲣᲠᲘᲡ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲮᲜᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲛᲝᲫᲐᲕᲐᲠᲔ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲠᲘᲗᲛᲣᲚᲐᲓ, ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲓᲘᲬᲧᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ. ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲑᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲧᲝᲕᲔᲚᲓᲦᲔᲔᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐᲮᲕᲔᲓᲠᲘᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲑᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ᲛᲐᲒᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘ ᲔᲚᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐᲡ. ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲐᲒᲝᲜᲝᲗ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲗᲔᲡᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘ, ᲠᲝᲪᲐ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲗᲔᲡᲕᲐ ᲒᲐᲣᲭᲘᲠᲐᲜᲓᲐᲗ, ᲮᲝᲚᲝ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲡᲐᲝᲠᲜᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲐᲦᲔᲑᲐ. ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲬᲚᲘᲡᲐᲪ ᲔᲒᲘᲗᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲓᲐᲒᲠᲣᲜᲕᲐ. ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲓᲐᲣᲛᲐᲒᲠᲔᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲛᲣᲨᲐᲝᲜᲗ, ᲠᲝᲛ ᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲗ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲔᲝ ᲘᲐᲠᲐᲦ-ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲛᲝᲜᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲦᲠᲝᲕᲐᲓᲔᲑᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲝᲜ ᲡᲐᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ.

ᲣᲛᲐᲦᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲙᲐᲠ�გᲝᲗ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲬᲣᲗᲘ, ᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲐᲦᲐᲚᲮᲐᲠᲘᲡᲮᲝᲕᲜᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲕᲘᲙᲐᲒᲔᲗᲝᲗ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲔᲝ ᲘᲐᲠᲐᲦ-ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲔᲑᲘ, ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲩᲐᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲬᲝᲜ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲠᲐᲓ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ. ᲝᲗᲮ ᲓᲦᲔᲛᲘ ᲤᲐᲑᲠᲘᲙᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲛᲐ ᲒᲔ�გᲛᲘᲗ ᲒᲐᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ 68 ᲢᲝᲜᲘᲡ ᲜᲐᲪᲕᲚᲐᲓ 71 ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ ᲒᲐᲛᲝᲣᲨᲕᲐ. ᲐᲥ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲘᲢᲔᲡ ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ ᲡᲐ�წᲘᲠᲛᲝᲠᲔ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ 25 ᲠᲘᲪᲮᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲐᲜᲔᲚᲓᲝᲜᲔ.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲓᲐᲜᲕᲔ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲛᲐ�გᲐᲚᲘᲗᲘ ᲒᲕᲘᲩᲕᲔᲜᲐ ᲩᲐᲘᲡ ᲒᲐᲬᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲤᲠᲗᲘᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲐᲛᲒᲠᲝᲛᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ Ი. ᲑᲝᲚᲥᲕᲐᲫᲔ ᲣᲫᲦᲕᲔᲑᲐ.

ᲖᲔᲒᲔᲒᲛᲘᲗᲘ ᲢᲐᲜᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ

მეშვიდე სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივმა წარმატებით დაიწყო შვიდწლედის მეხუთე წელი. იანვრის პირველი ხუთი დღის დავალება 103 პროცენტით გაანაღდა. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია მამაკაცის პერანგი 1.000 ცალი, მამაკაცის შარვალი — 400 ცალი, ნახევარპალტო — 50 ცალი, კოსტიუმი — 100 ცალი.

აღსანიშნავია, რომ გამოშვებული პროდუქცია მხოლოდ პირველი ხარისხისაა.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲔ-6 ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐᲖᲔ

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევის შესაბამისად სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა გაგზავნოს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობაზე, რომელიც 15 იანვარს იხსნება, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები **ნ. ს. ხრუშჩოვი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი (დელეგაციის მეთაური), **ნ. ვ. პოდგორნი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, **ლ. თ. ილიჩოვი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, **ბ. ნ. პონომარიოვი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, **ნ. ა. მურავიოვა** — სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, **ა. ი. აჯუბეი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, გაზეთ „იზვესტია“ მთავარი რედაქტორი, **პ. ა. სატიუკოვი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, გაზეთ „პრავდა“ მთავარი რედაქტორი, **პ. ა. აბრასიმოვი** — სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ᲙᲔᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ

8 იანვარს გაიმართა საქართველოს სსრ სამომხმარებლო კოოპერატივების ცენტრალური კავშირის — ცეკავშირის საბჭოს მორიგი კრება.

ცეკავშირის საბჭოს კრებას, საბჭოს წევრებისა და კანდიდატების გარდა, დაესწრნენ რესპუბლიკის კოოპერაციული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, დამზადების კანტორების დირექტორები, მეურნეობებისა და გაერთიანებების ხელმძღვანელები.

კრებაზე მოხსენება — სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგები და საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციის ამოცანები გააკეთა ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. პ. ცაგარეიშვილმა.

მოხსენების გამო გამართულ კამათში გამოვიდნენ აფხაზკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ა. ბაღათურია, აჭარკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ს. ზარიძე, ზუგდიდის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ა. კუქაგა, „ცენტროსოიუზის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ხორინი, სამხრეთ ოსეთის საოლქო კოოპკავშირის დამზადების სამმართველოს უფროსი ა. გაგლოევი, გორის რაიკოოპკავშირის გამგეობის თავმჯდომარე ვ. რთველიაშვილი.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის ბიუროს თავმჯდომარემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. შ. ჭანუყვაიემ.

კრებამ განხილულ საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილება.

საბჭოს კრებამ განიხილა ორგანიზაციული საკითხი.

კრებამ ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გაათავისუფლა ამხ. პ. ცაგარეიშვილი სხვა სამუშაოზე გადასვლის გამო. ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია ამხ. ნ. ჯავახიძე.

ცეკავშირის საბჭოს კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მ

მეგობრობის გამოხატულება

ბერლინი, 5 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ე. ბაშმაჩნიკოვი იუწყება: ცნობა იმის შესახებ, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა გადაწყვიტა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობაზე, რომელიც 15 იანვარს იხსნება, გამოგზავნოს სკკპ დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით, სწრაფად მოედო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას. ეს ცნობა გადასცა რესპუბლიკის ყველა რადიოსადგურმა.

დღევანდელი გაზეთები ცენტრალურ ადგილას დიდი სათაურებით ბეჭდავენ ცნობას სკკპ დელეგაციის ომბავალი ჩამოსვლის შესახებ ბერლინში.

ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი ჩამოსვლა სკკპ დელეგაციის მეთაურად გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის VI ყრილობაზე, განაცხადა თქვენს კორესპონდენტთან საუბარში ბერლინის ერთ-ერთი ავტობაზის მუშამ პანს ჰოპმა, საუკეთესო გამოხატულება იქნება დიდი მეგობრობისა, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხებსა და გერმანელ ხალხს აკავშირებს. ნ. ს. ხრუშჩოვი, განაგრძო მან, ისე როგორც არავინ სხვა, საუკეთესო მაგალითია ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის მებრძოლისა. ამის დადასტურება შეიძლება იყოს მისი ენერგიული მოქმედება კარიბის ზღვის საშიში კონფლიქტის ლიკვიდაციისათვის.

დამამცირებელი დამარცხება

ნიუ- იორკი, 4 იანვარი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტულმა ძალებმა ნგო დინ დიემის არმიასა და მის ამერიკელ სამხედრო მრჩევლებსა და სპეციალისტებს აგებინეს „ერთ-ერთი ყველაზე ძვირად ღირებული და დამამცირებელი დამარცხება მთელი ამ ხნის განმავლობაში“.

შიხანი აბ ბაკიდან გამოგზავნილ კორესპონდენციაში იუწყება, რომ ვიეტ კონგის პატრიოტთა ჯგუფი — 200 კაცი — 2 იანვარს მთელი დღის განმავლობაში იცავდა სოფელს ნგო დინ დიემის ჯარისკაცთა შემოტევებისაგან, რომელთა რაოდენობა ათჯერ აღემატებოდა დამცველთა რაოდენობას. ამასთან მათ მხარს უჭერდნენ ავიაცია, არტილერია და ტანკები.

ნგო დინ დიემის ასზე მეტი ჯარისკაცი მოკლეს ან დაჭრეს. მოკლულია ამერიკის არმიის სამი სამხედრო მოსამსახურე, დაჭრილია — ხუთი. 15 ამერიკელი ვერტმფრენიდან, რომლებიც ბრძოლაში მონაწილეობდნენ, ხუთი ჩამოაგდეს, ექვსი კი დააზიანეს.

შიხანის კორესპონდენციიდან ჩანს, რომ ამერიკელი „მრჩევლები“ ცდილობენ აიძულონ სამხრეთ ვიეტნამის ხელისუფლები, რათა გააძლიერონ საბრძოლო მოქმედება სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტთა წინააღმდეგ.

დასავლეთი ცივ ომში ითრევს ინდოეთს

დელი, 4 იანვარი. (საკდესი). როგორც იუწყებიან დღეს გაზეთი „ტაიმს ოფ ინდია“ და დედაქალაქის სხვა გაზეთები, დელიში ძალე ჩამოვა ინგლისამერიკის მაღალი თანამდებობის სამხედრო პირთა მისია, რომელიც გამართავს მოლაპარაკებას ინდოეთის თავდაცვის სამინისტროსთან „ინდოეთისათვის ამერიკისა და ინგლისის იარაღის გრძელვადიანი მიწოდების“ შესახებ. ცნობებში აღნიშნულია, რომ გადაწყვეტილება ინდოეთში ამ მისიის გაგზავნის შესახებ მიიღეს ამას წინათ, როცა ამერიკის პრეზიდენტი და ინგლისის პრემიერ-მინისტრი ერთმანეთს შეხვდნენ ნასაუში.

როგორც „ტაიმს ოფ ინდია“ აღნიშნავს, ვაშინგტონსა და ლონდონში სწავლობენ საკითხს იმის შესახებ, რომ „დასავლეთმა გაუწიოს დახმარება ინდოეთს, რათა დიდი მასშტაბით გადიდდეს მისი არმია და სამხედრო-საჰაერო ძალები“. ამერიკასა და ინგლისს განზრახული აქვთ განახორციელონ ინდოეთ-ჩინეთის საზღვარზე მყოფი ჯარების „ხელახლა აღჭურვა“.

— ნუ წაგვართმევთ იმის უფლებას, რომ უფლებები წავართვათ ჩვენს მოქალაქეებს!

ნახატი **სენდერსისა** ამერიკულ გაზეთ „გრინობორო დეილი ხიუსიდან“.

ვინ შველის ჩომგეს?

ნიუ-იორკი, 4 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ნ. ტურკატენკო იუწყება: მტკიცე მოქმედებამ, რაც განახორციელა, ბოლოს და ბოლოს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ კონგოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის უ თანის მითითებით, კოლონიურ სახელმწიფოთა სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია. ამ სახელმწიფოებმა, რომლებიც წუსან თავიანთი აგენტის ჩომბეს ბედის გამო, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში დაიწყეს ფარული საქმიანობა.

კოლონიურ სახელმწიფოთა ზემოქმედებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია მას შემდეგ, რაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებმა დაიკავეს ჩომბეს სამხედრო და საყრდენი პუნქტი ქალაქი ჟადოვილი.

კოლონიური სახელმწიფოები, რომლებიც მოითხოვენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარების ოპერაციის შეწყვეტას კატანგის პროვინციაში, კვლავ ალაპარაკდნენ იმის შესახებ, რომ „საჭიროა მოლაპარაკება“ ჩომბესა და კონგოს ცენტრალურ მთავრობას შორის, რაც არა ერთხელ ჩაუფუშავს ჩომბეს მამი მხარდამჭერით. გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ პრეს-სამსახურმა გაავრცელა თავისი ვაშინგტონელი მიმომხილველის დრუმონდის სტატია, რომელიც, კერძოდ, იუწყება, რომ ინგლისელმა, ფრანგმა და ამერიკელმა წარმომადგენლებმა გააერთიანეს თავიანთი ოინისძიებანი, რათა „დააჯერონ ჩომბე, რომ მისი მომავალი დამოკიდებულია ადულას მთავრობასთან მოლაპარაკებაზე პრაქტიკული ფედერალიზმის შემუშავების მიზნით.

ჯერ არ არის გამორკვეული გამართავს თუ არა ჩომბე კონსტრუქციულ მოლაპარაკებას კონგოს ცენტრალურ მთავრობასთან. ეს დამოკიდებულია მისი პატრონების ნებაზე, ხოლო ზემოქმედებამ, რასაც კოლონიური სახელმწიფოები ახდენენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელმძღვანელობაზე, უკვე იჩინა თავი. ამას მოწმობს ის, თუ როგორ შეაფასა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს ხელმძღვანელობამ ამერიკის პრესაში ფართოდ გავრცელებული ხმები, თითქოს ქადოვილზე შეტევა განხორციელდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სანქციის მიუდებლად, „ჯარის ნაწილების მეთაურთა წინდაუხედავი მოქმედების“ შედეგად.

„გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წარმომადგენელმა, რომელმაც 2 იანვარს უ თანის სახელით თქვა, ჩომბეს მოქმედების გამო „ახლა ძალიან გვიან არის მოლაპარაკება“ ვაწარმოოთო“, 3 იანვარს გაავეთა განცხადება, რომელშიც რამდენადმე დაადასტურა ამერიკის პრესის ვერსია. უ თანის სახელით გაკეთებულ ამ განცხადებაში გამოთქმულია „სინანული იმ ფაქტის გამო, რომ ქადოვილში ოპერაციის დროს პირველად დაირღვა სერიოზულად ეფექტიანი კავშირი და მოქმედების კოორდინაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარ ბინასა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლეოპოლდვილის წარმომადგენლობას შორის“. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კულუარებში აღნიშნავენ, რომ ევროპის კოლონიურ სახელმწიფოთა ზემოქმედებით უ თანი დაეთანხმა კონცერნ „უნიონ მინიერის“ დირექციის იმ თხოვნას, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჯარებმა არ დაიკავონ ჯერჯერობით ქალაქი ქადოვილი, მაგრამ უ თანის მითითება, შეეჩერებინათ შეტევა, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლეოპოლდვილში მყოფ წარმომადგენლებს თითქოს დროზე არ გადაუცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კატანგაში მოქმედი ჯარებისათვის.

ჩომგე თანახმაა დაიწყოს მოლაპარაკება

ნიუ-იორკი, 4 იანვარი. (საკდესი). თვითმარქვა „პრეზიდენტმა“ ჩომბემ გააკეთა ახალი განცხადება, რომლის არსი იმით ამოიწურება, რომ მოითხოვს შეწყდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საომარი ოპერაციები. როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იუწყება, ჩომბემ ეს განუცხადა დასავლეთის ორ კორესპონდენტს ჩომბეს ახალ ბანაში — ქალაქ კოლეზიში — 300 კილომეტრზე ელიზაბეტვილის (ჩრდილო-დასავლეთით).

„მე გავიგონე, — მოურიდებლად განაცხადა ჩომბემ, — უ თანს სურს, რომ დავიწყო მოლაპარაკება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხელისუფლებთან და ლეოპოლდვილის მთავრობის პრემიერ ადულასთან. მე მსურს დავიწყო ეს მოლაპარაკება“.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲐ

გარდაბანი. („კომუნისტის“ კორ.). გუშინ ოთხასამდე დელეგატმა მოიყარა თავი გარდაბნის საწარმოო სამმართველოს პირველ პარტიულ კონფერენციაზე. ისინი წარმოადგენდნენ 3500 კომუნისტს, რომლებიც გაერთიანებული არიან 146 პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებზე და იმ დიდი ამოცანების შესახებ, რომელიც საწარმოო სამმართველოს პარტიულ ორგანიზაციის წინაშე დგას, ილაპარაკეს მომხსენებელმა, საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარემ ვ. მირიანაშვილმა და კამათის მონაწილე დელეგატებმა.

კონფერენციამ მიიღო კონკრეტული ღონისძიება, აირჩია საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტი და სარევიზიო კომისია.

კონფერენციის შემდეგ გაიმართა პლენუმი, რომელმაც გარდაბნის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნად აირჩია **ვ. მირიანაშვილი,** ხოლო მოადგილეებად — **კ. ყულიევი** და **მ. ცოფურაშვილი.**

მაიაკოვსკი. (საკ. კორ.). გაიმართა მაიაკოვსკის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პირველი პარტიული კონფერენცია, რომელმაც მოისმინა საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარის პ. აბესაძის მოხსენება.

კონფერენციამ კონკრეტული ღონისძიება დაუსახა საწარმოო სამმართველოს პარტიულ კომიტეტს, რომელიც აქ 67 წევრისა და 21 კანდიდატის შემადგენლობით აირჩიეს.

პირველმა პლენუმმა, რომელიც კონფერენციის შემდეგ გაიმართა, პარტიული კომიტეტის მდივნად **აირჩია პ. აბესაძე,** მოადგილეებად — **რ. ქარჩხაძე** და **ს. ალხოძე.**

* * *

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებით საქართველოს ზოგიერთ მთიან რაიონში სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობისათვის რჩება პარტიის რაიონული კომიტეტები. ჯავისა და ლენტეხის რაიონებში გაიმართა რაიონული პარტიული კონფერენციები.

პარტიის **ჯავის** რაიკომის მდივნად არჩეულია **უ. ხანიკაევი,** ხოლო პარტიის **ლენტეხის** რაკომის მდივნად — **ი. ხაბულიანი.**

ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲐ-ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲤᲠᲝᲜᲢᲘ

საახალწლიო თეატრის შენობაში, სადაც გორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის პირველი კონფერენცია იყო დანიშნული, ჯგუფ-ჯგუფად თავმოყრილ დელეგატებს საუბარი გაუმართავთ.

— სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნის აუცილებლობა, — ამბობენ ისინი, — თვით ცხოვრებით არის ნაკარნახევი. უკანასკნელ დროს ნათელი გახდა, რომ პარტიის რაიკომი ყველა საქმეს ღრმად ვერ სწვდებოდა. რაიონული პარტიული ორგანიზაციის ძალები გაფანტული იყო როგორც კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ისე რაიონის ტერიტორიაზე არსებულ საწარმოებში. ახლა სულ სხვა იქნება. საწარმოო სამმართველოს პარტიულ კომიტეტს მარტო სოფლის მეურნეობასთან რომ ექნება საქმე, უფრო ღრმად, საქმის ცოდნით უხელმძღვანელებს...

და აი კონფერენცია მუშაობას შეუდგა. მოხსენებით „სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1962 წლის ნოემბრის და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმების შედეგები და საწარმოო სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“ — გამოვიდა საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე რ. ბზიშვილი.

კონფერენციის ყველა მონაწილის აზრადღების ცენტრში იდგა საკითხი, თუ როგორ ხორციელდება პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნა გორის საწარმოო სამმართველოში. მომხსენებელმა მოიყვანა იმის მონაცემები, რომ ახალშექმნილი გორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტი, რომელიც შეიქმნა კასპის, გორის რაიონების და ქარელის რაიონის ზოგიერთი სოფლების ბაზაზე, უხელმძღვანელებს 58 კოლმეურნეობას, 11 საბჭოთა მეურნეობას, მეხილეობის 4 საადგურსა და სანერგე მეურნეობას. სამმართველოს ტერიტორია მოიცავს დაახლოებით 2.370 კვადრატულ კილომეტრს, 135.744 მცხოვრებს. მის ტერიტორიაზეა 44 სასოფლო საბჭო და ერთი სადაბო საბჭო.

პარტიულ კომიტეტში შევა 223 პირველადი პარტიული ორგანიზაცია, სადაც გაერთიანებული იქნება 4.737 კომუნისტი.

მოხსენებაში და კამათის მონაწილეთა გამოსვლებში ბევრი იყო ლაპარაკი საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ისეთი დიდშემოსავლიანი და წამყვანი დარგების განვითარებაზე, როგორიც არის მეხილეობა, მეგვეხახეობა, მეჭარხლეობა და მარცვლეული კულტურები. გასულ საუკუნეში წელს სამმართველოს ზონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა წარმატებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის კურკოვანი და თესლოვანი ხილის მიყიდვის გეგმა. კურკოვანი ხილის მიყიდვის გეგმა შესრულდა 118 პროცენტით, ხოლო თესლოვანის — 100 პროცენტით. ხილის კარგი მოსავალი მიიღეს სოფლების ყელქეფელის, სამთავიზის, ქვეშოჭალის, ქარელის და სხვა კოლმეურნეობებმა, კოლეთის საბჭოთა მეურნეობამ. საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ასევე გადამეტებით შეასრულეს ხილის ახალი ბაღების გაშენების შარშანდელი დავალება. გაშენებული იქნა 2.318 ჰექტარი ხილის ბაღი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.287 ჰექტარისა.

დელეგატებმა ამავე დროს მკაცრად გააკრიტიკეს ცალკეული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი. კონფერენციაზე ითქვა, რომ სოფლების — ახალქალაქის, ქვემო გომის, ხოვლეს, ზემო ხანდაკის, შედევრკისის, შინდისის, ფხვენისის, ბრეთის კოლმეურნეობათა გამგეობები და პარტიული ორგანიზაციები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მეხილეობას და ხილის სამარცხვინო მოსავალი მოჰყავთ. ხილის მოსავლიანობის გეგმა არ შეასრულეს, თავი შეირცხვინეს ბრეთის, ვარიანის, ქიწნისის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობებმა.

— პარტიის ნოემბრის პლენუმმა მიიღო მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, მოგვცა მუშაობის სწორი გზა, — თქვა სოფელ ზედდულეთის კოლმეურნეობის მექანიზატორმა გიორგი ცერცვაძემ, — ახალი პარტიული კომიტეტის ყოველდღიური საზრუნავი იქნება შემდგომ ავამაღლოთ სოფლის კომუნისტების შემოქმედება და აქტივობა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის წარმოების ყოველწლიური გადიდებისათვის.

ქარელთის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა მ. ჯაშაშვილმა ილაპარაკა ტირიფონის სარწყავი არხის რეკონსტრუქციის საკითხზე, აგრეთვე ყურძნის მოდები ქარხნების მუშაობის ნაკლოვანებებზე.

სამთავისის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ბუდადაშვილმა, ქვეშის კოლმეურნეობის მეხილემ მ. რჩეულიშვილმა, ქარელის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ხ. რაზმაძემ მოითხოვეს, რომ საწარმოო სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმა, რომელსაც კონფერენცია აირჩევს, აქედანვე იზრუნოს კოლმეურნეობების მინერალური სასუქებითა და ვენახებისა და ბაღების შესაწამლი ნივთიერებებით მომარაგებისათვის.

დელეგატებმა თავიანთ გამოსვლებში განსაკუთრებით გაამახვილეს ყურადღება მოწინავე გამოცდილების დანერგვის, სოციალისტური შეჯიბრებისადმი ხელმძღვანელობის გაუჯანსაღებლობის, შრომის დისციპლინის განმტკიცების და სხვა საკითხებზე.

კონფერენციამ კონკრეტული ღონისძიება დაუსახა საწარმოო სამმართველოს პარტიულ კომიტეტს მომავალი მუშაობისათვის, აირჩია პარტიული კომიტეტი 73 წევრისა და 21 კანდიდატის შემადგენლობით, აგრეთვე სარევიზიო კომისია.

კონფერენცია დამთავრდა. საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის დამბადება ერთმანეთს მიულოცეს დელეგატებმა.

შედგა საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის პირველი პლენუმი, რომელმაც აირჩია ბიურო. პარტიული კომიტეტის მდივნად არჩეულია **რ. ბზიშვილი,** მოადგილეებად — **ვ. ყველაშვილი** და **ბ. გოცირიძე.**

კონფერენციაა და პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ განათლების მინისტრმა ამხ. თ. ვ. ლაშქარაშვილმა.

მ. ხეთაგური,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲬᲔᲡᲘ

კაჯაასენიონის ცაღაზიდულ მწვერვალებზე ზამთარი ბორგავა. ალაზნის თავლწარტაც ველსა თუ ივრისპირეთს კი ჯერ თოვლი არ უნახავს. გაზაფხულივით ზამთარი დგას. ყეფუნა წვიმები გულს ულობს ზაფხულის საცხით შეწუხებულ მიწას. მინდორ-ველი მწვანედ გამოიყურება. აქ ამქამად არც იხვნება და არც ითესება, მაგრამ საკოლმეურნეო სოფელში საქმეს რა გამოლევს! ემინდვრეები საგაზაფხულო თესლსა და სასუქებს ამარაგებენ, მექანიზატორები მძლავრ ტექნიკას არემოხტებენ. მეეფნახეები, ეაზი რომ გაამრავლონ, მყნობისათვის ემზადებიან.

შვიდწლედის მეხუთე წლის უხვი მოსავლისათვის ლაშქრობას მტკიცე საფუძველი ეყრება.

ქალაქ გურჯაანშიც დიდი გამოცოცხლებაა. დილაადრიან კულტურის სახლისაკენ მოემართებიან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის პირველი კონფერენციის დელეგატები. ისინი ერთმანეთს ულოცავენ გურჯაანისა და საგარეჯოს რაიონების შეერთებას, ამ რაიონებში მომუშავე სოფლის კომუნისტთა გაერთიანებას ერთ, საწარმოო სამმართველოს პარტიულ ორგანიზაციაში.

— ეს საშუალებას მოგვცემს, — ამბობენ ისინი, — სწორად დავგეგმოთ სოფლის მეურნეობა, უკეთესად გამოვიყენოთ არსებული რეზერვები.

კონფერენციის დელეგატთა შორის არის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მონაწილე, ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ ბრიგადიერი, სოციალისტური შრომის გმირი მიხეილ მექეფერიშვილი. არც ერთი წელი არ არის, რომ მან ორმაგად არ გაანაღდოს ყურძნის მოსავლიანობის დავალება. მექეფერიშვილი დელეგატებს დაწვრილებით მოუთხრობს პლენუმის გადაწყვეტილებათა მნიშვნელობაზე.

კონფერენცია გაიხსნა. ტრიბუნაზეა საორგანიზაციო ბიუროს თავმჯდომარე გ. აზაურაშვილი. იგი დაწვრილებით ლაპარაკობს ნოემბრის პლენუმის შედეგებსა და გურჯაანის საწარმოო სამმართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანებზე.

ტრიბუნაზე ზედიზედ ადიან ორატორები. კონფერენციის დელეგატები ერთმანეთს უზიარებენ ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებებთ გამოწვეულ სიხარულს, თავიანთ აზრებსა და მისწრაფებებს. ყველა ისინი მოითხოვენ, რომ ანლადშექმნილი პარტიული კომიტეტი ღრმად ჩასწვდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საკითხებს, განაზოგადოს და დანერგოს ახალი, პროგრესული, სათავეში ჩაუდგეს მასების საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას.

ვენახი საწარმოო სამმართველოს სოფლის მეურნეობის სიამაყეა. გურჯაანელებს ყურძნის უხვი მოსავლის მოყვანის მდიდარი ტრადიცია გააჩნიათ. მიიუხედავად უამინდობისა, შარშან სახელმწიფოს 42.567 ტონა ყურძენი მიაყიდეს, გეგმა კი 31.865 ტონას თავალისწინებდა. მომხსენებლისა და მოკამათეების სიტყვებში ნათლად ჩანდა, რომ გურჯაანელები მიღწეულით არ კმაყოფილდებიან. კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადამეტებით შეასრულეს ვენახების გაშენების შვიდწლედის მეოთხე წლის დავალება. გეგმიური 1.398 ჰექტარის ნაცვლად გაშენებულია 1.460 ჰექტარი ვენახი.

კონფერენციაზე წინა პლანზე იყო წამოწეული მარცვლეულის მეურნეობის საკითხი. ორატორებმა აღნიშნეს, რომ სამმართველომ ვერ შეასრულა სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის დავალება. ამის მიზეზი აგროღონისძიებათა სრული კომპლექსის გაუტარებლობაა. ძალიან ცოტა კეთდება მოწინავეთა, გამოცდილების დანერგვისათვის.

მეცხოველეობის დარგში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია. კოლმეურნეობათა ერთ ნაწილში საკვები ბაზის განმტკიცებისათვის ნაკლებად ზრუნავენ. პირუტყვის ჯიში გაუმჯობესებას სათანადო ყურადღება არ ექცევა. შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია ნაკლებად ხორციელდება. ამ და სხვა მიზეზებმა გამოიწვია, რომ სამმართველომ სახელმწიფოსათვის ხორცისა და რძის მიყიდვის დავალება ვერ შეასრულა.

საწარმოო სამმართველოს უფროსმა დ. სარიშვილმა თქვა, რომ ბევრგან ჯერ კიდევ დაბალია შრომის დისციპლინა. ბაკურციხის კოლმეურნეობაში 780 კაცი და ქალი შრომაში არ მონაწილეობს. ნინოწმინდის კოლმეურნეობაში 437 კოლმეურნეს არ გამოუმუშავებია შრომადღეების დაწესებული მინიმუმი.

ველისციხის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ პარტიული ბიუროს მდივანმა ა. შოშიაშვილმა, ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ გ. უტიაშვილმა, მანავის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ა. ფოჩიანმა, კაკაბეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ა. ურდულაშვილმა, კარდანახის საბჭოთა მეურნეობის პარტიბიუროს მდივანმა შ. გულაშვილმა ილაპარაკეს იმ ღონისძიებათა განხორციელების გზებზე, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ გურჯაანის საწარმოო სამმართველოს მიერ შვიდწლედის მეხუთე წელს სამშობლოსათვის 35 ათასი ტონა ყურძნის, 8 ათასი ტონა მარცვლეულის, 2.200 ტონა ხორცის, 5.200 ტონა რძის მაყიდვა და სხვ.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. გ. ს. ძოწენიძემ.

კონფერენციამ მიიღო დადგენილება და დაავალა საწარმოო სამმართველოს ახალარჩეულ პარტიულ კომიტეტს მთელი თავისი მუშაობა წარმართოს ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა სასახელოდ შესრულებისათვის. არჩეულ იქნა საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტი.

შედგა ახლადარჩეული კომიტეტის პირველი პლენუმი. პლენუმმა გურჯაანის საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნად აირჩია **გ. აზაურაშვილი,** ხოლო მოადგილეებად — **რ. ნასარიძე** და **შ. ბასილაშვილი.**

ს. ქოჩლაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ

ᲡᲙᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

საზოგადოებრივ საწყისებზე

თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა კოლექტივი ნაყოფიერ მუშაობას ატარებს საერთოდ რესპუბლიკის საშუალო სკოლების მასწავლებლებთან და კერძოდ ინსტიტუტის კურსდამთავრებულთა შორის მათი კვალიფიკაციის ამაღლების, მეცნიერული და მეთოდური ცოდნის გაფართოებისა და გაღრმავების მიზნით. ლექციები და მოხსენებები, თეორიული და მეთოდური ხასიათის სესიები და კონფერენციები, სემინარები და კონსულტაციები — აი მასწავლებლებთან მუშაობის ის ძირითადი ფორმები, რომლებიც გამოყენებულია ინსტიტუტის პრაქტიკაში.

ამ მიმართულებით მუშაობა უფრო გაიმალა სკკპ XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ მარტო გასულ სასწავლო წელს ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა ძალებით საზოგადოებრივი დატვირთვის სახით რაიონებისა და ქალაქის მასწავლებლებისათვის მოეწყო 600-მდე ლექცია-მოხსენება, 30 თეორიული და მეთოდური ხასიათის სესია და კონფერენცია. ამ ღონისძიებათა განხორციელებაში მონაწილეობას იღებდა ინსტიტუტის თითქმის ყველა კათედრა.

მუშაობის მეტი ორგანიზებულობისა და კონკრეტულობის მიზნით ინსტიტუტის ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ მიმდინარე სასწავლო წლის დაწყებამდე მიიღო გადაწყვეტილება შეექმნა ინსტიტუტთან ერთიანი ცენტრი საზოგადოებრივ საწყისებზე მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ფაკულტეტის სახით, რომელიც აერთიანებს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების კურსებს შემდეგ სპეციალობებზე: დაწყებითი სკოლის მასწავლებლები (ქართული სექტორი), რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები (ქართულ სკოლებში), მათემატიკის მასწავლებლები (რუსული სექტორი).

სწორედ ამ გეგმის მიხედვით ჩატარდა ფაკულტეტის დაკომპლექტებაც. ჯეროვანი ყურადღებით გამოუხმაურნენ ამ საქმეს განათლების ორგანოები. მათ მიერ ორასამდე სხვადასხვა სპეციალობის მასწავლებელი იქნა რეკომენდებული კურსებზე ჩასარიცხავად. მაგრამ ამჯერად პირველ რიგში დაკომპლექტდა ზემოთ აღნიშნული მხოლოდ სამი სპეციალობა. ფაკულტეტზე სულ ჩარიცხულია 73 მასწავლებელი.

შედგენილია სასწავლო გეგმები. ისინი განიხილა და დამტკიცა სამეცნიერო საბჭომ. დადგენილია სწავლების ფორმები (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, კონსულტაცია). კურსების მუშაობა განსაზღვრულია ერთი წლის ვადით, კვირაში ოთხი საათით; ლექციები ტარდება ოთხშაბათობით. სასწავლო გეგმები ითვალისწინებენ სკკპ XXII ყრილობის მასალებისა და პედაგოგიკის ძირითადი საკითხების სწავლებას, ლექცია-სემინარებს ძირითად სპეციალობებში.

ფაკულტეტი მიზნად ისახავს კონკრეტული დახმარება გაუწიოს მასწავლებლებს თეორიული და მეთოდური მომზადების დონის ამაღლებაში, მოზარდი თაობის აღზრდა-განათლების ახალი ამოცანების უკეთ გადაჭრაში. სპეციალობების მიხედვით დაგეგმილ ლექცია-სემინარებზე მთელი ყურადღება გამახვილებულ იქნება იქითკენ, რომ საფუძველი ანად შევიძინოს სკოლის შესახებ ახალი კანონი, სკკპ XXII ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე ამოცანები, ავამაღლოთ სწავლების დონე, შემდგომ სრულვყოთ მთელი სასწავლო პროცესი.

კურსებზე ლექციებს კითხულობენ მაღალკვალიფიციური ლექტორები და მეთოდისტები, დოცენტები. ისინი სათანადო გულისხმიერებითა და პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებიან ლექცია-სემინარების ორგანიზაციისა და ჩატარების საქმეს. ფაკულტეტის მუშაობას დიდ დახმარებას უწევენ პედაგოგიკის, დაწყებითი განათლების, რუსული ენის სწავლების მეთოდიკის, მათემატიკისა და სხვა კათედრები.

მსმენელების ძირითადი შემადგენლობა მუშაობს მონდომებით, იჩენს საქმისადმი პასუხისმგებლობას, ამ მხრივ გამორჩეულა დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა ჯგუფი.

ფაკულტეტის მუშაობას ნაკლოვანი მხარეც აქვს. ჯერ კიდევ ხშირია მსმენელთა მიერ მეცადინეობის გაცდენა. ფაკულტეტის ხელმძღვანელობა განათლების ორგანობის დახმარებით იზრუნებს ამ ნაკლის გამოსასწორებლად.

ან. რაფავა,
დოცენტი.

ᲬᲧᲚᲘᲡ ᲛᲙᲔᲗᲔᲑᲚᲔᲑᲡ ᲡᲘᲠᲪᲮᲕᲘᲚᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲡᲬᲕᲐᲕᲓᲔᲗ

რაზომ გახუნდა თაროებზე ფეხსაცმელი?

ჩვენი რესპუბლიკის მეფეხსაცმელეებმა მომხმარებლებისა და სავაჭრო ორგანიზაციების ნდობა დაკარგეს. მაგრამ წარმოების ხელმძღვანელებს, ოსტატებს, იმათ, ვინც თავი „ისახელეს“ წუნდებული პროდუქციის გამოშვებით, როგორც ეტყობა, სირცხვილი არა სწვავთ, არც ის აწუხებთ, რომ თავიანთი ცუდი მუშაობით ფაბრიკას დიდ ზარალს აყენებენ.

ზოგიერთი ფეხსაცმლის ფაბრიკის ხელმძღვანელობა ძველებურად მუშაობს, არ ითვალისწინებს იმას, რომ ფეხსაცმლის მაღაზიები სავსეა საქონლით და მის მიერ გამოშვებულ მოძველებული ფასონის, უხეშ და შეუხედავ ფეხსაცმელს არავინ იყიდის.

ჩვენი რესპუბლიკის მეფეხსაცმელეები უფრო ხშირად რომ მიდიოდნენ სავაჭრო ქსელ

ფიქრი გალაკტიონზე

ხვალ, 7 იანვარს, თბილისში რუსთაველის სახელობის თეატრის საკონცერტო დარბაზში გაიმართება **დიდი ქართველი საბჭოთა პოეტის გალაკტიონ ტაბიძის** დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.

საღამოს შესავალი სიტყვით გახსნის პოეტი-აკადემიკოსი **ირ. აბაშიძე.** სიტყვებით, მოგონებებით, ლექსების კითხვით გამოვლენ ქართველი მწერლები და პოეტები.

◁ ▷

ღამის სამი საათი იყო... მდუმარე, სამამულო ომის კაეშნით დამძიმებული ღამე. რადიომ კარგა ხანია საუბარი შეწყვიტა, მაგრამ რედაქციაში შიკრიკს განუწყვეტლივ მოჰქონდა საინფორმაციო ბიუროს უკანასკნელი ცნობები — ზოგი სასიხარულო, ზოგიც მეტისმეტად დამაღონებელი.

გაზეთის მესამე გვერდზე იბეჭდებოდა საქართველოს სახალხო პოეტის გალაკტიონ ტაბიძის ლექსი „მეტყვიამფრქვევი" და უურნალისტ დიმიტრი ლომთათიძის ნარკვევი „უმცროსი სერჟანტი ნარსია".

მაშინ გალაკტიონი თავისი სურვილით გაზეთ „კომუნისტის" რედაქციაში მუშაობდა. ჰქონდა საკუთარი კუთხე ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებაში, ედგა (მისივე არჩევით) პატარა მაგიდა. მოდიოდა დილით ადრე, მიდიოდა ღამით, ზოგჯერ ნაშუადამევს.

მაშინ რედაქციაში უამრავ ლექსს აგზავნიდნენ სოფლებიდან, ქალაქებიდან, უშუალოდ ფრონტებიდან. ყოველ ლექსში, მიუხედავად მათი მხატვრული ავკარგიანობისა, იგრძნობოდა სამამულო ომში ჩვენი გამარჯვების ღრმა რწმენა.

გალაკტიონი კითხულობდა ამ ლექსებს. მერე წამოდგებოდა, ოთახში გაიარ-გამოიარ-ლიდა, კვლავ მიუჯდებოდა მაგიდას, ასწორებდა თანამომძეთა ალალი გულით დაწერილ სტრიქონებს.

„კომუნისტი" იღებდა თითქმის ყველა წითელარმიელ გაზეთს. გალაკტიონი ყველას ათვალიერებდა, რაც მოეწონებოდა, პატარა უბის წიგნაკში იწერდა. ერთხელ ერთ-ერთ წითელარმიელ გაზეთში წაიკითხა კორესპონდენცია სათაურით „ოთხი განუყრელი მებრძოლი" და იმავე დღეს დაწერა ლექსი „მეტყვიამფრქვევი".

სწორედ ეს ლექსი იყო აწყობილი იმ დღეს გაზეთის მესამე გვერდისათვის. გალაკტიონს საერთოდ ასეთი ჩვეულება ჰქონდა. როდესაც მისი ლექსი იბეჭდებოდა, სტამბიდან ფეხს არ აიღებდა, სანამ სუფთა გაზეთს არ მიიღებდა.

იცდიდა გალაკტიონი... წინ, მაგიდაზე ეწყო ათასნაირი ხაზებით აჭრელებული ამონაბეჭდები.

ოთახში დიმიტრი ლომთათიძე შემოვიდა, შემოიტანა გაზეთის ის გვერდი, სადაც მისი ნარკვევი და გალაკტიონის ლექსი უნდა დაბეჭდილიყო. ორივე ერთი ქართველი მეტყვიამფრქვევის ა. ბ. ნარსიას გმირობასა და მამაცობას უმღეროდა.

მეტყვიამფრქვევი

კოთხის მწვერვალზე (514-2) დაცემულ გმირს ა. ბ. ნარსიას!

შეხედეთ: მაღლით
დაპყურებს ქედებს
ცად ატყორცნილი
მწვერვალი კოთხის,
ქარი მირეკავს
ღრუბელთა გედებს,
ძირს გაფენილა
დარი სამოთხის.

შეხედე, რაგვარ
დიდებით შედის
ლაჟვარდში — ორბი
კლდეების ხშირის:
და სიამაყე
იმ დიდი ქედის —
სიამაყეა
ერთ ქართველ გმირის.

იყო წინადღით
ყომრალ-ყორნისფერ
ნისლთ ტყვეობაში
მწვერვალი იგი:
მრავალრიცხოვან
მომსდურს პირისპირ
შეხვდა უშიშარ
მებრძოლთა რიგი.

ბრძოლის ქარცეცხლში
ერთი მათგანი
პირველ გაიჭრა
მეომართ შორის,
როგორი იყო
ნგრევა-ხათქანი,
ნოწზეა წყება
კოთხის მთა-გორის.

„სამშობლოსათვის!".
იძახდა იგი,
თვალთაგან ცეცხლის
ალთა მთოვარი;
და იქ, სადაც მტრის
სჩანდა ბილიკი —
წინ მიიწევდა
სწორუპოვარი.

თავგანწირულად,
გზადაგზა, ფეხზე —
მთელი თავისი
სიმაღლით მსვლელი —
ტყვიამფრქვევიდან
მეხს სცემდა მეხზე,
მრავალათეულ
მტრის ამცელელი.

მის წინ მაღლობი
ნაწვდენი თვალით —
მტრის სხეულებით
იყო ნაგები.
და უშიშარ გმირს,
როგორც მაგალითს,
გარს ეხვეოდნენ
ამხანაგები.

აი სხვა წამი
გასახარელი, —
გამარჯვებული
ჩვენი ბანაკი.
მათ შორის იდგა
მხნე, საყვარელი
მამულიშვილი
და ამხანაგი.

მრავალთან ერთად —
იქ კიდევ ერთი...
ნარსია. ნათელ
მიზნით გზნებული,
ვარსკვლავის ორდენს
ატარებს მკერდით —
სამშობლოსათვის
თავდადებული.

გალაკტიონ ტაბიძე.
1943 წელი.

ასე თავისებურია ამ ლექსის ისტორია.

იგი გალაკტიონ ტაბიძემ ჩვენს თვალწინ ერთი ამოსუნთქვით დაწერა, მერე სამ საათამდე სტამბაში დამე უთია, ბევრჯერ გადაწერა, გადაიკითხა, გასწორა... ბოლოს დიდი შეებრალა და ლექსი აჩქარებ მტვერს მიანდო შესანახად... მიანდო და იცოდა არ დაიკარგებოდა.

ბ. თათარიშვილი.

გალაკტიონ ტაბიძე. — **მხატვარი უჩა ჯაფარიძე.**

კერპის ტრაგედია

ჩვენი ინტერვიუ

საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ვასო გოძიაშვილი უახლოეს დღეებში ქართველი მაყურებლის წინაშე რეჟისორული ნამუშევრით წარსდგება. კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში იგი დგამს სოსო ბეგიაშვილის პიესას „კერპს". ეს იქნება თეატრის პირველი პრემიერა ახალ, 1963 წელს. ამასთან დაკავშირებით, გაზეთ „კომუნისტის" კორესპონდენტი ესაუბრა ვასო გოძიაშვილს და სთხოვა გაზეთის მკითხველებისათვის მოეთხრო თავის ახალ დადგმაზე. მან თქვა:

— უპირველესად, ნება მიბოძეთ, თუმცა რამდენადმე მოგვიანებით, ახალი წელი მივულოცო თქვენი გაზეთის მკითხველებს, აგრეთვე მაყურებლებს და ჩემს კოლეგებს — ქართული თეატრალური ხელოვნების მუშაკებს. ამ უკანასკნელთა სახელით მინდა განვაცხადო, რომ ახალ წელსაც ჩვენს წმიდა მოგალეობად მივიჩნევთ ხალხისათვის სამსახურს, რომ ჩვენი ხელოვნება გამოხატავდეს და ემსახურებოდეს ფართო მასების ინტერესებს.

პიესა „კერპი", რომლის დადგმაზეც მე ვმუშაობ, შექმნილია ცნობილი ინგლისელი მწერლის არჩიბალდ კრონინის ფართოდ გახმაურებული რომანის „ბროუდის ციხე-სიმაგრის" მოტივებზე. ამ ერთი წლის წინათ, სხვა ქართველ ტურისტებთან ერთად, ვიყავი ინგლისში, სადაც ერთ-ერთ პატარა სოფელში — გრინოში გიდმა გაგვაცნო ძველი ციხე-სიმაგრე, რომელიც კრონინმა ბროუდების ციხე-სიმაგრის „პროტოტიპად" გამოიყენა. მაშინ სრულებითაც არ ვფიქრობდი, რომ ამ მწერლის რომანის სცენურ ხორცშესხმაზე მომიხდებოდა მუშაობა. ახლა კი „კერპის" დადგმისას დიდ დახმარებას მიწევს ინგლისში მოგზაურობის დროს ნანახი და განცდილი.

ა. კრონინის რომანი ძლიერი და მართალი წიგნია, რომელიც მოგვითხრობს იმ ძალმომრეობასა და ტანჯვაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-19 საუკუნის დასასრულს ინგლისის პატარა ქალაქ ლივენფორდის ერთ-ერთ ბურჟუაზიულ ოჯახში. რომანის პოპულარობა მხოლოდ კრონინის მხატვრული ოსტატობით როდი აიხსნება; მკითხველს მოსწონს საინტერესო ფაბულის შერწყმა ღრმა აზრებთან და ცხოვრებისეულ დაკვირვებებთან, დაძაბული ტრაგიზმის შეხამება ადამიანების ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების ამბების მართალ ასახვასთან.

ბროუდის ტრაგედია იმაში მდგომარეობს, რომ იგი მახინჯი საზოგადოებრივი ურთიერთობის მსხვერპლი, ამასთანავე ჯალათიც ხდება და უპირველესად თავისი ოჯახის ჯალათი. მსხვერპლი და ჯალათი ერთსა და იმავე დროს ბროუდი ღუპავს სხვებს, თავის ოჯახს და იღუპება თვითონაც. ეს არის ღრმად ფსიქოლოგიური ტრაგედია, რომელიც ამხილებს ბურჟუაზიული საზოგადოების სიმახინჯეს.

ახალი სპექტაკლისათვის მუსიკას წერს კომპოზიტორი ანდრია ბალანჩივაძე, მხატვრულ გაფორმებაზე მუშაობს ახალგაზრდა მხატვარი გივი ცერაძე. სპექტაკლში ძველი თაობის ცნობილი მსახიობების ვეერდით მონაწილეობას მიიღებს თეატრის ახალგაზრდობა. თუ როგორი იქნება ჩვენი ახალი დადგმა, ამის განსჯა პირუთვნელი მაყურებლისათვის მიგვინდვია.

* * *

სურათზე: სხვ. სახალხო არტისტი **ვასო გოძიაშვილი.**

დიდი ცხოვრების უცნობი ფურცლები

პასკევიჩი და სვეტოგორსკის მონასტრის არქივებში აღმოჩენილ იქნა ახალი მასალები, რომლებიც მოგვითხრობენ ამ მონასტრის სულერი მზრუნველობაზე გენიალური რუსი პოეტის ალექსანდრე სერგის-ძე პუშკინისადმი მისი მიხაილოვსკოეში გადასახლების პერიოდში.

მოსკოვის პუშკინის მუზეუმის სამეცნიერო სხდომაზე ამ მასალებზე მოუთხრო სახელმწიფო ნაკრძალის — „პუშკინის გორების" დირექტორმა ს. ს. გეიჩენკომ.

თერმომეტრივე ბერი მეთოდრეტია — სვეტოგორსკის მონასტრის წინამძღვარს — იონას მეთაურობით, რომელთაც მეფის მთავრობამ 1824 წელს პუშკინისადმი სულიერი მზრუნველობა დაავალა, ამ მონასტერში გდასახლებულ იქნენ ლოთობის, ქურდობის, შფოთიანობისა და სხვა სამარცხვინო მოქმედებათა გამო.

„პუშკინის მზრუნველებს" სვეტოგორსკის მონასტერშიც არ შეეწყვეტათ ეროული თავგანწირულობა, თარეში და მეზობელი სოფლების მცხოვრებნი მუდმივ შიშში ყოფდნენ. მონასტრის ძმათათვის დადებულ სასჯელთა წიგნში წინამძღვარ იონას თვითეული მათგანის დანაშაული აღუნუსხავს.

1824 წლის 16 სექტემბერს, ესე იგი პუშკინის გადასახლებაში ჩასვლიდან ცოტა ხნის შემდეგ, იონა წერს, რომ ჯაკვით დაება ბერი ავდეონი, რომელიც მიეტანა ქალს არაყს სთხოვდა. როდესაც მან უარი უთხრა, „წმიდა მამას", ავდეონი ეცა ქალს, შემოაბია ტანსაცმელი და ხელზე უკბინა. შემდეგ კი აყალ-მაყალი და ჩხუბი ატეხა.

იონა აღწერს სხვა შემთხვევებსაც. მისი თანამოძმეები იპარავდნენ მონასტრის ფულს, სახარების ყდიდან აძრობდნენ ძვირფას თვლებს და ლოთობდნენ, დაუსრულებლად ჩხუბობდნენ და თავაშვებულ ცხოვრებას ეწეოდნენ.

პუშკოვის არქივში აღმოჩნდა ბერების „არზა" თვით წინამძღვარზე. ისინი იონას ბრალად სდებენ ლოთობას და ღვთის კანონების დარღვევას.

როგორც დოკუმენტები მოწმობენ, იონა, რომელიც ბერების კინკლაობას ვერ აუდიოდა, იძულებული ხდებოდა უარი ეთქვა სულიერ მზრუნველობაზე იმ პირებისადმი, რომელთაც სვეტოგორსკის მონასტრის ახლობლო ადგილებში ასახლებდნენ. მათ რიცხვში იყო პუშკინიც.

იონამ დიდი რუსი პოეტი სულიერი მზრუნველობისათვის გადასცა სამრეველოს მღვდელს ილარიონს, რომელსაც მეტსახელად „შკოდას" ეძახდნენ. „შკოდა" არ აწუხებდა პუშკინს მარხვებითა და საეკლესიო წესჩვეულებების შესრულებადაცვის მოთხოვნით. ლაზღანდარა და ხუმარა „შკოდა" ენამოსწრებული მოსაუბრე ყოფილა. პოეტი სიამოვნებით საუბრობდა მასთან „საწუთოროს საკითხებზე", იმახსოვრებდა თქმულებებსა და ანდაზებს, რომლებიც „შკოდას" კარგად და უხვად სცოდნია.

პრესის სააგენტო „ახალი ამბები".

ბირმა ზეიმობს

რანგუნი, 4 იანვარი. საკდესს კორესპონდენტი ა. ვლასოვი იუწყება: დღეს სრულდება ბირმის დამოუკიდებლობის მე-15 წლისთავი.

მოირთო და მოიკაზმა ბირმის დედაქალაქი. სადღესასწაულო სეირნობაა რანგუნის მოედნებზე, პარკებში და სტადიონებზე. ათასობით ადამიანი შეიკრიბა აუნგ სანის სახელობის პარკში, სადაც გიხსნა დამოუკიდებლობის ფესტივალი. ტბის სანაპიროზე გაიშალა პავილიონების ლამაზი ქალაქი. სახელმწიფო საწარმოები და ეროვნული კომპანიები აქ უჩვენებენ თავიანთ საქონელს, რომელზეც დასმულია მარკა „გაკეთებულია ბირმაში".

ბევრი დამთვალიერებელია პავილიონში „საბჭოთა მანქანები". განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ მინსკის ქარხნის ტრაქტორები. ხუთი წლის წინათ პირველი საბჭოთა ტრაქტორები ჩოვიდა ბირმის მინდვრებში. მათ ბაზაზე მანდალაიში შეიქმნა ბირმის პირველი მანქანა-ტრაქტორთა სადგური.

ბირმის ეროვნული გმირის გენერალ აუნგ სანის ძეგლთან მოვიდნენ ბირმის განმათავისუფლებელი მორაობის ვეტერანები — ეროვნული ერთიანობის ფრონტის. ბირმის გაერთიანებული მუშათა პარტიისა და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელები. ფრონტის გენერალურმა მდივანმა ბო მია ტვემ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ბირმელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ბოლომდე აღმოფხვრას კოლონიური წარსულის შედეგები.

საღამოს რევოლუციური სიმღერა თავმჯდომარემ გენერალმა ნე ვინმა ეროვნული დღესასწაულის აღსანიშნავად გამართა დიდი დარბაზობა, რომელზეც იყვნენ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, მუშათა და გლეხთა დელეგაციები, საელჩოთა და მისიათა ხელმძღვანელები.

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ზეიმი გაიმართა აგრეთვე მანდალაიში, მოულენინა და ბირმის სხვა ქალაქებში.

ნოვატორული ლიტერატურა

ათენი, 4 იანვარი. (საკდესი). აქ გამოვიდა საბერძნეთის ყველაზე დიდი ლიტერატურული ჟურნალის „ეპითეორისი ტექნისის" ნომერი, რომელიც მთლიანად მიეძღვნა თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურას. ნომრის მოცულობა 250 გვერდი. აფასებს რა თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურას, —ჟურნალი ბაზს უსვამს, რომ საბჭოთა ლიტერატურა არის ნოვატორული ლიტერატურა, რომელიც განაგრძობს მე-19 საუკუნის დიდი რუსული კლასიკური ლიტერატურის სახელოვან ტრადიციებს, მსოფლიო პროგრესული ლიტერატურის ტრადიციებს.

ნომერში დაბეჭდილია პროზა, უფროსი და საშუალო თაობის თვალსაჩინო საბჭოთა მწერლების, აგრეთვე ახალგაზრდა საბჭოთა მწერლების ნაწარმოებები.

პარიზი, 4 იანვარი. (საკდესი). გაზეთმა „ლუმანიტემ" დღეს გამოაქვეყნა თავისი კორესპონდენტის ინტერვიუ ალეირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანთან ლარბი ბუჰალისთან.

ლარბი ბუჰალიმ დიდი მადლობა გადუხადა ყველა კომუნისტურ და მუშათა პარტიას, მთელი მსოფლიოს მშრომელებსა და დემოკრატებს, რომლებმაც აღიმაღლეს პროტესტის ხმა ალეირის კომუნისტური პარტიის აკრძალვის წინააღმდეგ. თითო-ოროლა ალეირელი იწონებს, ისიც ეუნუზიანიზმოდ, ალეირის კომუნისტური პარტიის აკრძალვას, თქვა ბუჰალიმ. ყველა წრეში, მათ შორის იმ წრეებში, რომლებიც შორს დგანან კომუნისტებისაგან, ამ ღონისძიებას გმობენ. მას აფასებენ როგორც დემოკრატიის სერიოზულ ხელყოფას.

ერთიანი ფრონტისათვის

ლარბი ბუჰალის ინტერვიუ

შეკითხვაზე, რას ფიქრობენ ალეირელი კომუნისტები იმ სიძნელეებთა დაძლევისათვის, რომელთაც ამჟამად აწყდება ახალგაზრდა ალეირის სახელმწიფო, ლარბი ბუჰალიმ თქვა: უწინარეს ყოვლისა უნდა აღენიშნო, რომ ამ ეტაპზე საქმე ეხება არა იმდენად სოციალიზმის აშენებას, რამდენადაც იმ ზარალის ანაზღაურებას, რაც კოლონიალიზმმა, კოლონიურმა ომმა და „საიდუმლო შეიარაღებული ორგანიზაციამ" დანაშაულებრივად მოქმედებამ მოგვაყენეს. საჭიროა აღვადგინოთ ალეირის ეკონომიკა და განვამტკიცოთ ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობა, რაც წარმოქმნის ობიექტურ პირობებს სოციალიზმის აშენებისათვის.

ალეირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა უფრო სრულად იქნეს გამოყენებული ალეირის მთელი რესურსები. ამისათვის, თქვა მან, უნდა გამოვიწვიოთ ხალხთა მასების ენთუზიაზმი. ეს რომ განვახორციელოთ, ნდობით უნდა მოეკიდოთ მასებს, დავეყრდნოთ მათ.

ალეირელ კომუნისტებმა, თქვა შემდეგ ლარბი ბუჰალიმ, უწინდებურად არიან დარწმუნებული, რომ ახლანდელ ეტაპზე საჭიროა ერთიანი ფრონტი, რომელიც შეაკავშირებს მთელ პატრიოტულ ძალებს. ეს ერთიანი ფრონტი, თუ მას საფუძვლად დაედება საერთო პროგრამა, წევრობის თავისუფლება და ყველი ორგანიზაციის დამოუკიდებლობა, გახდება კავშირის ყველაზე მტკიცე და სიცოცხლისუნარიანი ფორმა, სწორედ ეს საშუალება გამოიწვევს ხალხის ენთუზიაზმს, რაც საჭიროა ახალი ალეირის აშენებისათვის. მე მიმაჩნია, რომ ასეთი ერთიანი ფრონტი სავსებით შეიძლება გახდეს ეროვნული განთავისუფლების ფრონტი — არა როგორც პარტია, არამედ როგორც გაერთიანება, რომლის კარი ღია მთელი პატრიოტული ძალებისათვის, იმ პროგრამის პროექტის საფუძველზე, რომელიც შემუშავებულია ტრიპოლიში, და რომელიც გაათმჯობესა და შეავსო ჩვენმა ხალხმა.

დაპატიმრებანი ინდოეთში

დელი, 4 იანვარი. (საკდესი). ასამის შტატში „ინდოეთის თავდაცვის კანონის" საფუძველზე დაპატიმრეს სამი კომუნისტი. ტრასტ პრეს ოფ ინდიას სააგენტო იუწყება; დაპატიმრებულთა შორის არის კომუნისტური პარტიის ქალაქ დიბრუგარჰის კომიტეტის მდივანი ტ. გოგი. ამავე სააგენტოს ცნობით, გასულ ორშაბათს შტატში აღნიშნული კანონის საფუძველზე დაპატიმრეს 13 კაცი.

ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲓᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ

„...ვეწვიე კუბას,
და აქ ვნახე ჯარისკაცები,
— თმა რომ გაშლიათ
დროშების დარად
და ჩაუცვამთ მუქმწვანედ და ზეთისხილის ფრად. —
დღევანდელობას ანტიკურობად
როგორ აქცევენ.

მოეძევება
ჩემს ბებრულ ციტრას
თუნდ ერთი სიმი ალტაცებისა?"...

ეს სიტყვები ეკუთვნის ჩეზარე ძავატინის — ახალი იტალიური კინოს მამამთავარს.

შემთხვევითი, როდია ის დიდი ყურადღება, რომელსაც დღეს იჩენს მსოფლიოს პროგრესული ხელოვნება კუბისადმი. „ცეცხლმოდებული კუბისული", რევოლუციის პაბუკი ჯარისკაცები, თმა რომ გაშლიათ დროშების დარად" და „დღევანდელობას ანტიკურობად რომ გარდაქმნიან", ერთნაირად იზიდავს და შთაგონებს საბჭოთა კინოს ოსტატებს მიხეილ კალატოზოვსა და სერგეი ურუსევსკის, ფრანგ პუბლიცისტსა და კინორეჟისორს არმან გატის, ჩეხ კინემატოგრაფისტს ირჟი ვაისს, ყველაზე უხუცესს და ყველაზე „მართლმორწმუნე" ნეორეალისტს ჩეზარე ძავატინს, ადამიანს, რომელიც სულ რაღაც ხუთიოდე წლის წინ თავგამოდებით გაიძახოდა: მე გმირებს წინააღმდეგი ვარ, მათ მიმართ მუდამ განვიცდიდი ინსტინქტურ სიძულვილსო. ახლა კი მისი სცენარით, რომელიც სავსეა გმირთა სახელებითა და გმირული შემართების ფაქტებით, კუბაში იღებენ რევოლუციურ ფილმს.

„მოთხრობები რევოლუციაზე" სამი პატარა კინონოველისგან შედგება. თვითეული ნოველა დამოუკიდებელია, ერთმანეთისაგან განსხვავდება სიუჟეტით, გმირებითაც და თამამადევრულად მოგვითხრობს კუბის რევოლუციის სამ ძირითად ეტაპზე.

თავდაპირველად ისეთი წარმოდგენა გექმნებათ, თითქოს „მოთხრობები რევოლუციაზე" დოკუმენტური ფილმია, თითქოს მისი ყოველი კადრი გადაეღოს რევოლუციის შუაგულში მდგომ რომელიღაც გენიალურ კინოკრონიკორს. მაგრამ ეს მხოლოდ წუთიერი და ზედაპირული წარმოდგენაა. სინამდვილეში კი ფილმის შემქმნელები შეგნებულად მომართავენ „დოკუმენტალიზმის" ამ ხერხს. მათ სურთ დაგვაჯერონ ეკრანზე ასახული ყოველი მოვლენის სიმართლეში, ცდილობენ ყოველი კადრი განგვაცდევინონ როგორც ექმიუტანლად ცხოვრებისეული. მიზანი გამართლებული და მიღწეულია. რევოლუციური კუბის სულისკვეთებისა და გამოხატვის ორიგინალურ საშუალებათა შერწყმის შედეგად მივიღეთ საოცარი ზემოქმედებითი ძალის სურათი.

პირველი ნოველა — **„დაჭრილი":**

...მუუდრო ბინა, ობივატელის გემოვნებით აღბეჭდილი ოთახი. შემოპყავთ სისხლით შეღებილი. დაჭრილი მებრძოლი. პოლიცია დაეძებს რევოლუციის ჯარისკაცს, თავზესაფარს ითხოვენ. ბინის პატრონი შეშინებულია, თუმცა უარის თქმას ვერ ბედავს, მაგრამ ცდილობს გაეცალოს აქეურობას. რომელიღაც სასტუმროს ნომერში ჩაიკეტება... მაგრამ მოვლენები ვითარდება თავისი მკაცრი ლოგიკით — სულმოკლეობა, სიმხდალე ღალატში გადაიზრდება. მეორე დღეს მოღალატე თვითონვეა განსაცდელში, შესაძლოა განმეორდეს წინაღამის ამბავი. მაგრამ არა, იგი აღარ მეორდება... **მორალი: სიმხდალეს, ღალატს არ შეუძლია მომდევრების გაჩენა, ასეთია რევოლუციის კანონი.**

მეორე ნოველა — **„ამბოხებულნი":**

...ბატისტას დამსჯელ რაზმებს გასცლიან რევოლუციური არმიის მებრძოლები, გაუვალ ტყეში მიიკვლევენ გზას. შეჩერდნენ — ერთ-ერთი მებრძოლი სასაკვდილოდ არის დაჭრილი. და მიუხედავად იმისა, რომ ყოველ წუთს ძლიერდება საფრთხე, მაინც ჩერდებიან. იციან, რომ მეგობრის სიკვდილი გარდუვალია და... მაინც ჩერდებიან. თავს ადგანან მომაკვდავ მებრძოლს ველური ტყით დაფარულ სიერა-მაესტრას მთაზე, საიდანაც სამშობლოს შორეული სამზერი იშლება... **მორალი: ერთი-ყველასათვის, ყველა — ერთისათვის! — ასეთია რევოლუციის კანონი.**

მესამე ნოველა — **„სანტა-კლარა":**

...ქალიშვილი ელოდება ბრძოლად გასულ მეჯნერს. ის კი მოკლეს სწორედ მაშინ, როცა გამარჯვების სიხარული დადგა... მანქანაზე დასვენებულ მებრძოლის ცხედარს მდუმარედ მისდევს ცრემლგამშრალი სანტა-კლარა. ირგვლივ გამარჯვების ზეიმობენ, ის კი მარტოა თავის მწუხარებასთან ერთად. მარტოა... მაგრამ ქალიშვილის ხელს ეჭიდება მრავალი ხელი, ვერ ვარჩევთ ადამიანთა სახეებს, ვხედავთ მათ ხელებს — ძლიერს, სანდოს, გამტანს... **მორალი: დიდი სიტყვა — ერთობა! ესეც რევოლუციის კანონია.**

ეს სამი პატარა კინონოველა ფილმში საოცარი ძალით ერთიანდება და კუბის რევოლუციის სადიდებელ ტრიბუტად იქცევა. ფილმის პოეტიკა ნათელი და მკაცრია, აღბეჭდილი სიახლის გრძნობით. რეჟისორ **თომას გუტიერეს ალეას** არ სწამს ლამაზი რიტორიკული ფრაზები, გაურბის კიდეკაც მათ. დამდგმელი მიზნად არ ისახავს წვრილმანებამდე დაგეგეწილი მინიატურების შექმნას და ამიტომ არც ერიდება „ბუნებრივად დატეხილი ლოდის" მკაცრი კონტურების გამოჩენას. მას ამ მისწრაფებაში მხარს უსწორებენ ოპერატორები—უგო ბელასკო, ოტელო მარტელი, სერხიო ჭებარომი, არტურო ძავატინი. მათ ბიერ გამოკვეთილი კადრები საოცარი შრნაგანი ძალით გვაგრძნობინებენ, რომ ჯერაც არ განელებულა რევოლუციის ცეცხლი. ჯერაც არ შემშრალა ამბოხებულ მიწაზე თავისუფლებისათვის დაღვრილი სისხლი და ცრემლი, რომ ზეიმობს გამარჯვების სიხარული.

„სამშობლო ან სიკვდილი!" — გმირული შემართებით მოუწოდებს ფილმის ყოველი კადრი. „სამშობლო ან სიკვდილი!" — გამოკრთის სურათი ყოველი გმირის თვალთაგან. ეს გამოსჭვნილია მათს უკიდურესად ძუნწსა და მეტყველ ჟესტში, ინტონაციაში, გამოხედვაში. ფილმის საერთო წარმატებას ხელს უწყობენ ნიჭიერი მსახიობები — ედუარდო მოურა, ლილიან პერანა, მირიამ გომესი.

შეიძლება ითქვას, რომ ეს ხელოვნება დამუხტულია ხალხის აზვირთებული ეროვნული თავისუფლებისათვის და ოვითონვე შეიცავს ამ ძალას. მისი ყოველი კადრი, ეპიზოდი თუ სცენა ისეთ გმირული, მკაცრი და შთამაგონებელია, რომ, როგორც ლოზუნგი თვით ამ რევოლუციისა — „სამშობლო ან სიკვდილი!"

ო. სეფიაშვილი.

* * *

სურათზე: კადრი ფილმიდან „მოთხრობები რევოლუციაზე".

კომუნისტი
მე-3 გვერდი, კვირა,
6 იანვარი, 1963 წ.



ᲧᲘᲜᲕᲘᲐᲜᲝᲒᲐ ᲒᲔᲚᲒᲘᲐᲨᲘ

ბრიუსელი, 4 იანვარი. (საკდესი). ბრიუსელის ქუჩები და ტროტუარები თოვლითა და ყინულით დაიფარა. ქალაქის ტრანსპორტი ჩაკეტა. გაძნელდა ქალაქების მომარაგება კვების პროდუქტებით.

ყინვიანობამ ბელგიის რადიოს გადაცემათა მთავარი თემა გახდა და უკანა ალაგზე გადასწია მთელი საერთაშორისო ამბები. როგორც ადგილობრივ ძველი მცხოვრებნი ამტკიცებენ, ასეთი ყინვიანობა ბელგიის დედაქალაქში სულ ცოტა უკანასკნელი ორმოცდათი წლის მანძილზე არ ყოფილა. ძლიერმა ყინვიანობამ ბელგიის ყველა პროვინციაში სერიოზულად დაარღვია ცხოვრების ჩვეულებრივი რიტმი ახალი წლის პირველ დღეებში.

იმის შედეგად, რომ ტემპერატურა მნიშვნელოვნად დაეცა, დაიწყო ნამქერი, რამაც საავტომობილო პატასტროფები გამოიწვია დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, წერს დღეს გაზეთი „ლიბრ ბელგიკი".

კვალი კვიპროსისაკენ მიდის

პენტადაქტილოსის მთებში მეჩხერი, ნახანძრალი ტყით ანტიფოლტის ტაძრის ნახევრადდანგრეულ კედლებს მივაღწიეთ, მაგრამ კვლავ ის არ აღმოჩნდა, რასაც ვეძებდი. კლირიდისი — ჩემი განუყრელი თანამგზავრი იმედს არ კარგავს, რომ ადრე თუ გვიან ვიპოვნით. კიდევ და კიდევ მაგონდება თამარის ისტორიკოსის სიტყვები: „ხოლო სხუანი საქმენი მისნი, აღშენებანი და შეწირვანი მონასტერთანი ისმინენით, არა ოდენ სჯაროველსა. მონასტერნი აუშენა, არამედ პალესტინეს იერუსალემს აუშენა პირველად მონასტერი; და კუალად კვიპრეს ღალია შეამკო ყოვლითა წესითა პატრიოსნისა მონასტრისათა“.

ღალიას ვეძებ. მოვიარე მთელი კვიპროსი — მთები, ტყეები, სოფლები და ქალაქები, მაგრამ ღალია არავის და არსად არასოდეს არ გიუგონია. მეროვიკე ბერივით არ დავტოვე არც ერთი მონასტერი და ვერავინ ვერსად ვერაფერი მითხრა.

შუა საუკუნეებში, როდესაც საქართველო წინა აზიის უძლიერესი სახელმწიფო იყო და ქართველთა წინაშე ქედს იხრიდნენ ხონთქრები და კეისრები, ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი ნაწილი მჭიდროდ იყო დაკავშირებული საქართველოსთან. შეიძლება ბევრად უფრო მჭიდროდ, ვიდრე ამის შესახებ ამჟამად გვაქვს წარმოდგენა. კულტურულად და პოლიტიკურად ძლიერმა საქართველომ ქვეყნის გარეთ შრავალი ეკლესია-მონასტერი ააშენა, რომლებიც ქართულ კულტურულ ცენტრებს წარმოადგენდნენ. იერუსალიმში, სინას მთაზე, ათონსა და პატრიოწოში იქმნებოდა ქართული ორიგინალური თხზულებანი, ითარგმნებოდა ქართულიდან ბერძნულად და ბერძნულიდან ქართულად.

ძნელბედობის წლებში, როდესაც ჩვენ ქვეყნასა აღმოსავლეთის მომთაბარე ხალხები შემოესივნენ, მახლობელი აღმოსავლეთის ქართულ ეკლესია-მონასტრებს გამოეცალათ პოლიტიკური და ეკონომიური დასაყრდენი. ისინი თანდათანობით დაკნინდნენ და მათ ბერძენი მეგდელბერები დაეპატრონენ. მათ უწინარეს ყოვლისა იზრუნეს იმისათვის, რომ მოესპოთ ყოველივე ქართული ხსენება. ხელნაწერები და განძეულობა თანდათანობით მიმოიფანტა. მაგრამ ყველაფერი არ დაღუპულა.

1949 წელს აკადემიკოსებთან ა. შანიძესთან და ნ. ბერძენიშვილთან ერთად მომიხდა მონაწილეობა მიმეღო ინ ექსპედიციაში, პეტრიწონის მონასტერს (ბულგარეთი) რომ ეწვია. მაშინ იქ ვიპოვნეთ ღვთისმშობლის ხატი და ჯვარი ქართული წარწერებით. მაგრამ ქართული ხელნაწერები მონასტერში აღარ იყო. მხოლოდ შემდეგ გრიგოლ ბაკურიანისძის მიერ შედგენილი მონასტრის წესდების დედანი საბერძნეთის კუნძულ ხიოსზე აღმოჩნდა. ამ რამდენიმე ხნის წინ, როდესაც აკადემიკოსებმა ა. შანიძემ, გ. წერეთელმა და ი. აბაშიძემ იერუსალიმის ჯვარის მონასტერში მოთა რუსთაველის პორტრეტი აღმოაჩინეს, კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ მთელი ის მხარე, სადაც ქართული კულტურული ცენტრები იყო, გულდასმით შესწავლის ღირსია.

მაგრამ რა ვიცით კვიპროსის შესახებ? კვიპროსს იხსენიებს დავით აღმაშენებელი ისტორიკოსი, როდესაც ჩამოთვლის ადგილებს, სადაც მონასტრებმა დავითისაგან დახმარება მიიღეს. თამარის ისტორიკოსი კი უკვე თვით მონასტერსაც ასახელებს. ეს ყოფილა ღალიას მონასტერი. ქართული ისტორიული საბუთები კიდევ ერთხელ იხსენიებენ ღალიას: მოგზაურმა გიორგი ავალიშვილმა მე-19 საუკუნის დასაწყისში იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან წამოიღო ღალიაში გადაწერილი დავთნი.

მე-18 საუკუნის დასასრულს კვიპროსზე იყო ქართველი მოგზაური ტიმოთე გაბაშვილი, ხოლო მე-19 საუკუნის დასაწყისში გიორგი ავალიშვილი. ორივემ აღწერა თავისი მოგზაურობა. მათი ცნობები დაწვრილებითია და ზუსტი. მაგრამ არც ერთი და არც მეორე არაფერს ამბობს ქართულ მონასტრებსა და ქართველებზე. ცხადია, რომ იმ დროისათვის ქართველებისა და ქართული მონასტრების შესახებ მოგონებაც კი გაქრა. ასე იყო მე-19 საუკუნის დასაწყისში. რა შეიძლება გვქონდეს ახლა, მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, დრო ხომ უმოწყალოდ სპობს წარსულის კვალს.

ბუნდოდით, როდესაც ჩრდილები დამოკლდებიან და მზე დაეკიდება კვიპროსის ულრუბლო ცაზე, კუნძულზე წყდება ცხოვრება. ჩერდება ტრანსპორტი, ცარიელდება ქუჩები, იკეტება მაღაზიები.

ასეთ დროს ნიკოზიის ქუჩაბანდებით მივდიეარ ფინერომენის ბიბლიოთეკასაკენ. მისი მაღალთაღიანი დარბაზების მრავალსართულიან თაროებზე თავმოყრილია თიხმის ყველაფერი, რაც ოდესმე დაწერილა კვიპროსის შესახებ. თეთრი ქვისაგან ნათალ კიბეებზე ყოველი მისვლისას მეგდება კონსტანტინე ჰაჯიფსალტისი — ბიბლიოთეკის დირექტორი და ბიზანტიოლოგი. ვუსხდებით მაგიდას, შევექცევით ბერძნულ ყავას (აქ არამცდაარაფერ არ უწოდთ მას თურქული ყავა) და ვათვალიერებთ ტომების უსასრულო რიგს. ტომი ტომს მოსდევს, დღე-დღეს, რაიმე ახალს კი ვერ მივაგენით. ვერც კვიპროსის დაწვრილებითმა ტოპოგრაფიულმა რუკამ გვიშველა, ღალია არსად არ არის აღნიშნული.

როგორც იქნა, თითქოს აღმოჩნდა ძაფის ერთი ბოლო. ჩემს ხელთ არის დროთაგან გაყვითლებული წიგნი. იქნებ ამით მაინც მივაგნოთ რაიმესო, მეუბნება ჰაჯიფსალტისი. ეს არის 1580 წელს პარიზში გამოცემული კვიპროსის აღწერა, შედგენილი კვიპროსის ყოფილ მმართველ ლუზინიანთა დინასტიის წარმომადგენლის ეტიენ ლუზინიანის მიერ. ლუზინიანი წერდა იმის შესახებ, რისი მოწმეც თვითონ იყო მე-16 საუკუნის პირველ ნახევარში. ლუზინიანი იხსენიებს ქართველებსაც. უფრო სწორად ქართველებსა და იბერიელებს, რომელთა მოსახლეობაც იმ დროს კვიპროსზე ყოფილა. ამავე დროს იგი აღნიშნავს, რომ ქართველებსა და იბერიელებს შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ არისო. კუნძულზე მათ რამდენიმე მონასტერი ჰქონიათ, უმთავრესად ალამინის რაიონში. ამრიგად ირკვევა, რომ კვიპროსზე ღალიას გარდა სხვა ქართული მონასტრებიც არსებულა.

სოფელ ალამინს ხსენება საკმარისია, რომ წარმოვიდგინოთ ქართველთა მძიმე ხვედრი. 1571 წელს კვიპროსი თურქოსმალეთმა დაიპყრეს, ოსმალეთმა დაიწყო თურქების გაძლიერებული ჩასახლება კუნძულზე. ასე უფრო საიმედო იყო სულთნებისათვის. თურქებმა, ჯერ კიდევ ნახევრად მომთაბარეებმა, უპირველეს ყოვლისა ხელში ჩაიგდეს ველები და საძოვრები. ზღვის სიახლოვეს, ველზე გაშენებული ალამინი თურქულ სოფლად იქცა. ძველი მოსახლეობა ალამინიდან და მისი მიდამოებიდან გაიდევნა. ქრისტიანული საკულტო ნაგებობანი მუსლიმანურმა შეცვალა. ამჟამად სოფელში ხუთიოდე მიზგითია. სოფლიდან უახლოესი მონასტრები დიდი ოჯმპის მთებში მდებარეობს და იმდენად არის დაშორებული მას, რომ ლუზინიანი მათ გერ მოიხსენებდა, როგორც ალამინის რაიონში მდებარეს.

ლუზინიანი ღალიას არ იხსენებს, ქართული ისტორიული წყაროები კი კონკრეტულად მხოლოდ ღალიას ასახელებენ. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართულ მონასტრებში ყველაზე მნიშვნელოვანი კვიპროსზე ღალია ყოფილა. თუ ღალია ალამინის რაიონში იყო, მაშინ ის სხვა ნაგებობებთან ერთად დაღუპულა. მაგრამ ლუზინიანი არ ამბობს, რომ ყველა ქართული მონასტერი ალამინის რაიონში იყოო, ხოლო ამ რაიონის ტოპონიმიკურმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ აქ არაფერია, ისეთი, რაც შორეულად მაინც ემსგავსებოდეს ღალიას სახელწოდებას. ცხადია, ღალია უნდა ვეძებოთ სადღაც სხვაგან, მაგრამ სად?

კვიპროსზე ჩემი ყოფნის დღეები დაილია. უკანასკნელად მივდივარ ლიდრას ქუჩით ფანერომენის ბიბლიოთეკისაკენ. ხვალ ამ დროს უკვე შორს ვიქნები — სადმე ათენში ან ვენაში.

როგორც ყოველთვის, შუადღით ცხოვრება ჩამკვდარია, მხოლოდ ჰაჯიფსალტისი ფხიზლობს და მიცდის ჩვეულ ადგილას, დიდი და ფართო კიბეების ბოლოში. ისე, როგორც ყოველთვის, ვსხდებით წითელი ხის მაგიდას, ბიჭს მოაქვს ბერძნული ყავა და ჭიქა ცივი წყალი. ორივენი გამოვთქვამთ იმედს, რომ ადრე თუ გვიან ღალია აღმოჩნდება.

ბიბლიოთეკის თანამშრომელმა ახლადმიღებული ბანდეროლი შემოიტანა. ბანდეროლზე ბერიუთის ფოსტამტის ბეჭდია. ჰაჯიფსალტისი იღიმება და მეუბნება, რომ ეს მისმა მეგობარმა პროფესორმა ჟან რიშარმა გამოუგზავნა. ჟან რიშარი მახლობელი აღმოსავლეთისა და ევროპის არქივების შესანიშნავი მცოდნეა. ამჟერად მას ვატიკანის არქივის ის საბუთები გამოუქვეყნებია, რომლებიც კვიპროსის მე-14-15 საუკუნეების ისტორიას ეხება. ორივენი დიდი ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებთ ჟან რიშარის წიგნს. მასში მოთავსებული საბუთები პირველად ქვეყნდება და თვალის ერთი გადავლებითაც ცხადი გახდა, რომ ბევრ ფაქტს ახალი შუქი მოეფინებოდა. მოულოდნელად ჩვენი ყურადღება მიიპყრო საბუთმა № 1298, დათარიღებულმა 1306 წლის 3 თებერვლით. აქ ლაპარაკი იყო კვიპროსის სამი მონასტრის რეფორმის შესახებ, რომელთა ხელში ჩაგდება, როგორც ჩანს, უნდოდა რომის პაპს. საბუთის თანახმად ორ მათგანში წინამძღვრებად ბერძნები იყვნენ, ხოლო ერთში ქართველი. ერთი ამ მონასტერთაგანი ჰირზოფუს ყურის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაპირზე იალეში ანუ იაილეში მდებარეობდა.

მე და ჰაჯიფსალტისმა გაოცებულმა ერთმანეთს გადავხედეთ და საბუთი ერთხელ კიდევ გადავიკითხეთ. არც ერთ ჩვენგანს აღარ ჰქონდა არავითარი ეჭვი — საქმე ეხებოდა ქართველთა მონასტერს ღალიას, ვინაიდან საბუთში ნახსენები იაილია წარმოიქმნა ბერძნული სტყაა გიალოსიდან, რაც ნიშნავს ზღვის ნაპირს, სანაპიროს. ხოლო ბგერა გ კი ქართულში გაისმა როგორც ღ და ყ.

ზღვის ნაპირიდან დაახლოებით ორი ინგლისური მილის მანძილზე მდებარეობს სოფელი იაილა, სოფლის იქით კი იწყება ტყეებით დაფარული მთები, სადაც ადაც ჩამოდის იმავე სახელწოდების მდინარე.

მეკავა ხელში ჟან რიშარის წიგნი და სანანულის გრძნობა არ მასვენებდა: სულ რამდენიმე დღის წინ თავს ვადექი იაილას ხეობას. ჩემს გარშემო მთების თხემები მანგალის ნაოკებივით სადღაც ქვევით-კენ გარბოდნენ. შორს კი, ჰაერკვამლში, ფირუზის ფერი ჰირზოფუს ყურე ოდნავ გამოირჩეოდა ცის კიდურიდან. რატომ არ ვიცოდი მაშინ დაკარგული ქართული ძეგლის ამბავი.

კვიპროსზე ძალიან ცხელა, ცოტაა წყალი, მდინარე ხომ იშვიათი რამ არის, თუმცა აქაური მდინარეები ჩვენებურ ღელეებს უფრო ჩამოჰგავანან. მონასტრების მთავარ შენობებს ამიტომ, როგორც წესი, უმთავრესად მაღლა მთებში, წყაროებთან ან ღელეების პირასა და ტყით დაჩრდილულ ადგილებში აშენებდნენ. ამ მხრივ იდეალური ადგილებია იაილას ხეობის მთელ სიგრძეზე, ვიდრე მაღლა მთებში გაშენებულ სოფელ ფინეკლიმდე. სწორედ აქ, სოფელ იაილასა და ფინეკლის შორის უნდა ვეძებოთ ღალიას მონასტრის ნანგრევები.

ლიდი ოლიმპის მთებში გზა ციბრუტივით ტრიალებს. არ გუყლებთ სიცრუფეს მოსახვევებში, არც ალმართ-დაღმართებში, არც შემხვედრი მანქანების გვერდის აქლის დროს. კვიპროსის დაბურულ ტყეში, ფიჭვებს შორის ჩვენს წინაშე კოკოს მონასტრის ქვიტკირის კედლები აღიმართა. ფართო ალაყაფის კართან გველოდება ბერი მაკარიოსი. დიონისიოსი გვაცნობს და უხსნის ჩვენი მოსვლის მიზანს. მაგრამ მაკარიოსმა ყველაფერი იცის. მონასტრის წინამძღვრის ტელეფონით უკვე შეატყობინეს ნიკოზიიდან. ვიწრო, ბნელი კიბეებით ზედა პალატებისაკენ მივდივართ. დერეფნებიდან ოთახებზე გავდივართ, ოთახებიდან დერეფნებში. ბოლოს აღმოსავლურ ყაიდაზე მოფარდაგულ დარბაზში აღმოვჩნდით. მომსვლელთა წიგნში ხელს ვაწერთ. შემდეგ მაკარიოსი წინამძღვრის სახელით ბოდიშს იხდის — წინამძღვარი შეუძლოდ არის და ჩვენ ვერ შეგვხვდება.

მაკარიოსი მიგვიძღვის წინ. ისევ დერეფნები და ოთახები, შიდა ეზოები და კიბეები. ბოლოს ტაძარში შევდივართ. კაპელზე თვალი მოვკარი წითელი ყოვლით ნახევრადფარებულ ღვთისმშობლის ხატს. იქვე გვერდით ოთახში მონასტრისათვის შეწირული ნივთებია გამოფენილი. მაკარიოსი კარგა ხნით ჩერდება ყოველ ნივთთან და გვიხსნის მის ისტორიას. აქ ყოველგვარი ნივთებია — ხატები, გვირგვინები, შანდლები, ძვირფას ყდებში ჩასმული ძველი ხელნაწერები, ოქრო, ვერცხლი და ძვირფასი ქვები — მარგალიტები, ლალი, ზურმუხტი.

ჩემთვის გასაგები გახდა, რომ კოკოს მონასტერი უდიდესი სიმდიდრის მფლობელია, მაგრამ წარსულში კიდევ უფრო მდიდარი ყოფილა. კოკოს სახელი მთრო იყო გავარდნილი. მას იცნობდნენ ევროპის, აზიის და აფრიკის ქვეყნებში. მაგრამ კოკოს მონასტერშიც ყველას იცნობდნენ და ყველაფერი იცოდნენ. მათ იცოდნენ, თუ რომელმა ხელმწიფემ რა ჩაიფარა, რას ამზადებდნენ შორეულ ქვეყნებში ვეზირები და მინისტრები, რას უთვლიდა ოსმალეთის სადრ-ი აზამი დიპლომატიის ფაშას. ბერები კოკოდან ყველგან დადიოდნენ. ისინი ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში ტოვებდნენ მშობლიურ ადგილებს და შორეულ ქვეყნებში გადაიხვეწებოდნენ ხოლმე. იქ სწავლობდნენ ქვეყნის ენას, ზნეჩვეულებას და მოსახლეობაში ითქვიფებოდნენ. სიკვდილის დღემდე ისინი არ წყვეტდნენ კავშირს თავის მონასტართან, რომლისთვისაც აგროვებდნენ შეწირულებებს, წერდნენ მომხდარი ამბების შესახებ. კოკოს მონასტერში კი მუშაობდა შესანიშნავი პოლიტიკური აპარატი, აქ იცოდნენ მაშინდელი მსოფლიოს ყველა ენა. ეს იყო რაღაც პატარა ვატიკანის მსგავსი რამ.

ბერი მაკარიოსი სიტყვაძვირი არ გამოდგა. როცა გაიგო ჩემი ქართველობა, აშკარად შეცბუნდა. შემდეგ ცოტა ჩაფიქრდა და თვალი ღვთისმშობლის ხატისაკენ გაიპარა.

— იბერიის მეფე ირაკლის დრო ძნელი, ძალიან ძნელი დრო იყო თქვენთვის, — ამბობს მაკარიოსი, — რომელ ეროს უნდა გამკლავებოდით: თურქებს თუ სპარსელებს.

ცხადია, რომ მაკარიოსმა რაღაც, და შეიძლება არც ისე ცოტა რამ იცის XVIII-18 საუკუნის საქართველოზე. ჩემს შეკითხვაზე, თუ რა წიგნები აქვს მას წაკითხული საქართველოს შესახებ, ის უარყოფის ნიშნად თავს აქნევს. არავითარი წიგნები საქართველოზე მას არ წაუკითხავს.

— ჩვენი ბერები პროფესორებზე უფრო კარგად წერდნენ, ამბობს მაკარიოსი, — ბერები წერენ იმის შესახებ, რაც თვითონ ნახეს, პროფესორები კი — რაც სხვებმა ნახეს.

თანდათანობით ჩემთვის ყველაფერი ნათელი გახდა. ალბათ იმ ავბედით დროს იყო საქართველოში ვიღაც, ვინც აგროვებდა შეწირულებებს კოკოს მონასტრისათვის და სწერდა კვიპროსზე ანგარიშებს საქართველოში მდგომარეობის შესახებ. მაგრამ ვინ იყო ის?

მარგვილის მონასტერში დიდი ხნის განმავლობაში ინახებოდა პატარა ზომის ხელნაწერი წიგნი. მას აკლდა თავიც და ბოლოც. ის არავის არ აინტერესებდა და იდო წყნარად თაროს მივარდნილ კუთხეში. მაგრამ დროება შეიცვალა, და მარტვილის მონასტრის ხელნაწერები საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის სეიფებში აღმოჩნდნენ. აქ პატარა ხელნაწერით დაინტერესდა ცნობილი ქართველი თურქოლოგი პროფესორი სერგი ჯიქია. საქმე ის არის, რომ ეს ხელნაწერი წარმოადგენდა მე-18 საუკუნეში შედგენილ ქართულ-თურქულ სასაუბრო წიგნს, რომელიც შედგენილია ბარძიის მონასტერში (ბულგარეთი) — ამ მონასტრის შესახებ ... გამოვაქვეყნა 1954 წელს.

[illegible] ... ეროვნული ... ბიბლიოთეკა

ყოველი ენის სახელმძღვანელოს შემდგენელი. მან შეარჩია ლიტერატურული ნიმუშები ქართულ ენაზე და თურქული თარგმანითურთ მოათავსა თავის სახელმძღვანელოში. ლიტერატურული ნიმუშების საძებნელად ჩვენთვის უცნობი ავტორი შორს არ წასულა, ისინი იქვე, ვარძიის მონასტერში შეუგროვებია. შემოხვევით ამ ნიმუშთა შორის აღმოჩნდა შეტად ძვირფასი ისტორიული საბუთი. ეს არის წერილი კვიპროსის მონასტრ[illegible] ... ქოდან გამოგზავნილი საქართველოში, თხოვნით, რომ გაიღონ შეწირულებანი კოკოს მონასტრის შენობის აღსადგენად, რომელიც ხანძარმა გაანადგურა. წერილში შედგენილია კოკოს მონასტერში მე-18 საუკუნის 70-იან წლებში და საქართველოში ჩამოუტანია ვინმე იოაკიმე პროტოსინგელოსს, ტომით ბერძენს. იოაკიმე სამუდამოდ საქართველოში დარჩა. მისი მთავარი ადგილსამყოფელი ვარძიის მონასტერი იყო. აქედან კი თავისი მოღვაწეობით მთელ საქართველოს გადასწვდა. ხან საქართველოს ერთ კუთხეში, ხან მეორეში. ერეკლე II-ის საჩუქარი გვაფიქრებინებს, რომ 1780 წელს იოაკიმე მასთან იყო. უფრო მოგვიანებით იოაკიმეს გურიაში ვხედავთ.

კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის მიერ გამოცემულ „აქტებში“ მოთავსებული ისტორიული საბუთი, რომლიდანაც ჩანს, რომ იმერეთის მეფეს დავით II-ეს იოაკიმეს გამგებლობაში გადაუცია ვარძიის მონასტერი მთელი შემოსავლით და მიუცია ულბა, რათა შემოსავლის ნაწილი კვიპროსზე კოკოს მონასტრისათვის გადაეგზავნა. ცხადია, რომ ეს იყო ბევრად უფრო ძვირფასი საჩუქარი, ვიდრე ერეკლე მეფის აბრეშუმის ქსოვილი. ისეთ ავიორეს საჩუქარს, რომელიც მიიღო კოკოს მონასტერმა დავითისაგან, მხოლოდ მხურვალე ლოცვებისათვის არ იმლევიან. განსაკუთრებით ისეთი გაჭირვების დროს იმერეთის მეფეები რომ იმყოფებოდნენ. მაშ რითი დაანტერესა ასე იოაკიმემ საქართველოს მმართველები? ამის შესახებ პირდაპირ არც ერთი ბარათი არაფერს ამბობს. ამიტომ შეიძლება მხოლოდ მოსაზრებანი გამოვთქვათ. შესაძლებელია, რომ იოაკიმე საქართველოში ანტიტურსებდათ იმიტომ, რომ ის იყო გარე სამყაროსთან დამაკავშირებელი ერთ-ერთი არხი. მაგრამ რას სწერდა იოაკიმე კვიპროსზე გაგზავნილ წერილებში? და მარტო კვიპროსთან ჰქონდა საქმე იოაკიმეს თუ რომელიმე სხვა ქვეყანასთანაც? ვარძიის მონასტერს უფრო ადრეც, სანამ იოაკიმე პროტოსინგელოსი საქართველოში ჩამოვიდოდა, ჰქონდა კავშირი კოკოსთან. ამიტომ არ არის გამორიცხული შესაძლებლობა, რომ იოაკიმეს საქართველოში წინამორბედები ჰყავდა, რომლებიც აგრეთვე აღწერდნენ საქართველოს ამბებს. ვინ იცის, რამდენი ჩვენთვის სრულიად უცნობი ამბები იქნება მოთხრობილი ამ საბუთებში. ნუ დაეკარგავთ იმედს, რომ კოკოს მონასტრის არქივებმა ჩვენს დღეებამდე შემოგვინახეს ეს ძვირფასი მასალა.

ღალია, ალამინი. კოკოს მონასტრის არქივები. წინაპრები, ვისი სახელებიც წარსულმა შთანთქა. უცხო ქვეყნებში გაფანტული ეროვნული საუნჯენი. ოცნებამ ფრთების შესხმა იცის. იქნებ ყველაფერი არ განადგურებულა, რაც წარსულში ბედუკუღმართობით დაგვიკარგავს.

დიდი სიმაღლიდან კარგად ჩანდა, თუ როგორ დუღდა ტალღა კორმაჯიდის კონცხის ნაპირებთან. კვიპროსის მიწა ბგერის სისწრაფით გვშორდებოდა. წინ იყო უცნაურად ლურჯი ფერის ცა და ზღვა...

ოთარ გიგინეიშვილი.

* * *

სურათებზე: (ზემოთ მარცხნიდან) ანტიფოლიტის ტაძარი პენტადაქტილოსის მთებში; დიდი ოლიმპის მთის კალთებზე შეფენილი ბერძნული სოფელი; ქალაქ ნიკოზიის ძველ ნაწილში; (ქვემოთ მარცხნიდან) კვიპროსელი თურქი; ყურძნის გამყიდველი ნიკოზიაში.

ფოტო ავტორისა.

ანა შაკალსის საქმე

ნამდვილი ამბავი

1962 წლის მაისში თბილისის კრიმინალისტურმა ლაბორატორიამ სამეცნიერო კონფერენცია მოაწყო სასამართლო ექსპერტიზის საკითხებზე. მასში მონაწილეობის მისაღებად თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკიდან ჩამოვიდნენ ჩვენი კოლეგები.

დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის და მისი თავიდან აცილების მეთოდების ერთობლივმა განხილვამ დიდი სარგებლობა მოუტანა ჩვენს საქმიანობას. გვიან საღამოდე არ წყდებოდა მსჯელობა, კამათი, აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

მეგობრული წრეში, დასვენების დროს, გადავწყვიტეთ ყოველ ჩვენგანს რაიმე საინტერესო საქმე მოეთხრო თავისი პრაქტიკიდან. ჩვენმა კოლეგამ ქალაქ ლუშანბედან ლ. ფრანკმა საშინელი ისტორია გვიამბო იმის შესახებ, თუ როგორ აქციეს ომის დროს გერმანელებმა თავიანთ საკონცენტრაციო ბანაკში ადამიანი მხეცად.

— მაშინ ლატვიაში ვმუშაობდი, — დაიწყო ლ. ფრანკმა და ჩვენც მოსასმენად მოვემზადეთ, — 1946 წლის 20 აპრილს, რიგის პორტის რაიონში ქალაქის საკანალიზაციო ქსელის მთავარ სადენთან ნახულ იქნა ადამიანის გვამის ნაწილები. შემოხვევის ადგილის დათვალიერებით, ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო გამოკვლევით და იმ ქსოვილის დათვალიერებით, რაშიც ეს ნაწილები იყო გახვეული, დადგენილი იქნა, რომ მოკლული იყო 60-65 წლის ქალი. მკვლელობის ჩადენიდან რამდენიმე დღე იყო გასული. მოკლულის ვინაობა ვერ იქნა გამორკვეული.

იმავე წლის 2 მაისს იპოდრომის ახლოს კანალიზაციის მილში კვლავ ნახეს ახალგაზრდა ორსული ქალის გვამის ნაწილები. ორივე შემთხვევაში გვამები მკრეალი იარაღით იყო დაჩეხილი.

პროკურატურის მუშაკებმა გადაწყვიტეს შეემოწმებინათ, მილიციის განყოფილებაში ხომ არ იყო შემოსული განცხადება რომელიმე მოკლალქის უგზოუკვლოდ დაკარგვის შესახებ. შემოწმებისას აღმოჩნდა, რომ რიგაში მცხოვრები მოკლალქე კრემერი ეძებდა თავის ცოლს, რომელიც 17 აპრილს სახლიდან გასული უკან აღარ დაბრუნებულა. კრემერის ცოლის წლოვანება, ტანსაცმელი, დაკარგვის დრო და სხვა ნიშნები მიუთითებდნენ იმაზე, რომ 1946 წლის 20 აპრილს რიგის პორტის რაიონში სწორედ მისი გვამი იყო ნახული, მკვლელი კი არ ჩანდა.

რამდენიმე ხნის შემდეგ კრემერის ერთმა ნათესავმა ბაზარში ნახა, რომ ვიღაც ქალი კრემერის მოკლული ცოლის ჩანთას ყიდიდა, რომელიც ამ ნათესავს საჩუქარად ჩამოეტანა მისთვის მოსკოვიდან ორი თვის წინ. მან წამსვე აცნობა მილიციელს, და გამყიდველი იქვე დაიკავეს. იგი აღმოჩნდა ადგილობრივი მცხოვრები, რომელმაც აჩვენა, რომ ჩანთა ერთი კვირის წინათ იყიდა ბაზარში ვიღაც ქალისაგან, მაგრამ რადგან ახლა ძალზე სჭირდება ფული, გადაწყვიტა მისი გაყიდვა. პ-ს სახლი გაჩხრიკეს, მაგრამ იქ საეჭვო არაფერი აღმოჩნდა. შემოწმებით გამოირკვა, რომ იგი ადრე რაიმე დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენაში არ იყო შემჩნეული, ამიტომ მოკალაქე პ. გაათავისუფლეს და სთხოვეს დახმარებოდა გამომძიებელს ჩანთის გამყიდველის მოძებნაში. მართლაც, იმავე დღეს შებინდებისას, ცენტრალური ბაზრის შესასვლელთან მან ამოიცნო ჩანთის გამყიდველი.

ამ უკანასკნელმა დაკითხვაზე დამალა თავისი ვინაობა და კატეგორიულად უარყო რიგის მონაწილეობა ქალების მკვლელობაში. შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ იგი იყო მოკლალქე ანა შაკალსი, მცხოვრები ქალაქ რიგის გარეუბანში, შარლოტას ქუჩაზე.

მილიციისა და პროკურატურის ოპერატიული მუშაკები ანა შაკალსის ბინის ჩხრეკას შეუდგნენ. იატაკზე და ფანჯრის ჩარჩოებზე ნახულ იქნა სისხლისმაგვარი ლაქები, კედლის ღუმელში დაჭწვარი ძვლების ნარჩენები, ხოლო საკუჭნაოში ქალების ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, რომელთა შორისაც კრემერის ნივთებიც აღმოჩნდა. აბაზანაში დიდი რაოდენობით ნახულ იქნა კუსტარული წესით დამზადებული საპონი.

ჩატარებული გამოკვლევით დადგენილ იქნა, რომ საპონი დამზადებული იყო ადამიანის ცხიმისაგან. ადამიანის იყო აგრეთვე ღუმელში ნახული ძვლები. ყველაფერი ნათელი გახდა. გამოძიების პროცესში კიდევ რამდენიმე განცხადება აღმოჩნდა ქალების უგზოუკვლოდ დაკარგვის შესახებ.

ანა შაკალსი დიდხანს უარობდა დანაშაულის ჩადენას, ბოლოს კი იძულებული გახდა ყველაფერი ეღიარებინა. მან დაწვრილებით უამბო გამომძიებელს, თუ როგორ შეჰყავდა მოტყუებით თავის სახლში ქალები (ზოგ მათგანს ავეჯს სთავაზობდა გასაყიდად, ზოგს ბინას, ზოგს ხილს და ა. შ.). ოთახში შეუყვანისას სკამზე სვამდა ფარდის წინ, შემდეგ ფარდის უკან შევიდოდა, სადაც გალესილი ნაჯახი ჰქონდა შენახული, რასაც მსხვერპლს თავში ურტყამდა. შემდეგ ვვამს ანაწილებდა. ცხიმიან ნაჭრებს საპნისთვის ინახავდა. ძვლებს ღუმელში სწვავდა, „ნარჩენებს“ ხან მდინარეში, ხან კი კანალიზაციის მილებში ჰყრიდა.

ვინ იყო ანა შაკალსი, რომელსაც ადამიანობის არაფერი ჰქონდა შერჩენილი და მხეცად გადაქცეულიყო? იგი დაიბადა და გაიზარდა ლატგალიის მივარდნილ რაიონში, სადაც სახეობთა ხელისუფლების დამყარებამდე რელიგიური სიბნელე იყო გამეფებული. შაკალსი, როგორც თვითონ ამბობდა, მორწმუნე და ერთგული შვილი იყო კათოლიკური ეკლესიისა. იმამდე მას დანაშაული არ ჰქონდა ჩადენილი და ნორმალური ფსიქიკიდან რაიმე გადახრა მისთვის არავის შეუმჩნევია. მაგრამ აი დაიწყო ფაშისტურმა გერმანიამ თავისი ეაჰალური ომი, და შაკალსი გერმანელთა საკონცენტრაციო ბანაკში მოხვდა. საკმარისი იყო მას რამდენიმე წელი დაეეყო ამ სასაკლაოზე, რომ მხეცად გადაქცეულიყო. ჰიტლერულ სიკვდილის ბანაკში, სადაც ყოველდღე ათასობით უდანაშაულო ადამიანს ანადგურებდნენ, ანა შაკალსმა დაკარგა ადამიანის სახე, აქ ასწავლეს მას ადამიანების წამება და დასახიჩრება.

ასე დამოავრდა ანა შაკალსის საქმე, და განა მარტო შაკალსის? რამდენი ადამიანი დაამახინჯეს და მხეცად აქციეს ფაშისტებმა, — დაასრულა საუბარი ჩვენმა კოლეგამ და გადმოგვხედა. ჩვენ დიდხანს ვიყავით ჩაფიქრებული, ხმას არავინ იღებდა, თუმცა ყოველი ჩვენგანი უზმოდ ეთანხმებოდა ლ. ფრანკის ბოლო სიტყვებს.

ო. მგელაძე,
თბილისის სამეცნიერო-კვლევითი კრიმინალისტური ლაბორატორიის უფროსი ექსპერტი.

ა. კოტოვი და ს. გლიგორიჩი ტურნირის გმირები

ჰასტინგსის „უკანასკნელი ღამე“

ჰასტინგსი. გუშინ დილით სმოლოვმა ინგლისელ კლარკთან გადადებული პარტია ყაიმით დაამთავრა და ლიდერთა ჯგუფში გაიმაგრა პოზიცია.

და აი უკანასკნელი მეცხრე ტური, რომელიც გუშინ გვიან საღამოს შედგა. ყურადღების ცენტრში იდგა სმოლოვისა და კოტოვის პარტია, რომელიც 25-ე სვლაზე ყაიმით დამთავრდა. გროსმაისტერმა გლიგორიჩმა ფინიშთან გამარჯვებით მეტად საპირო ქულა ჩაიწერა ანგარიშში.

ამრიგად, პირველი ორი ადგილი ეჯვსნახევარ-ეჯვსნახევარი ქულით გაიყვეს ა. კოტოვმა და ს. გლიგორიჩმა. 3. სმისლოვმა 6 ქულით მესამე ადგილი დაიკავა.

მოსკოვის ფეხბურთელთა გუნდებში

მოსკოველ ფეხბურთის მოყვარულებს დიდი მღელვარების გადატანა მოუხდათ ამ დღეებში: მოსკოვის ზოგიერთ გუნდში დაისახა საგრძნობი დანაკლისი და განსაკუთრებით ტორპედოელებთან. ექვსმა წამყვანმა ფეხბურთელმა (ს. მეტრეველი, ვ. ვორონინი, გ. გუსაროვი, მ. პოსტელო, ლ. ოსტროვსკი და ა. კავაზაშვილი) შეიტანა განცხადება, რომლებშიც ითხოვენ გაუშვან ისინი სხვა კლუბებში. დღეს მოსკოვის ფეხბურთის საქალაქო სექციის პრეზიდიუმმა განიხილა ამ ექვსი მოთამაშის განცხადება და უარყო მათი თხოვნა.

დედაქალაქის ფეხბურთის საზოგადოებრიობამ აღძრა შეამდგომლობა ლ. ოსტროვსკის დისკვალიფიკაციის შესახებ ერთი წლით, რომელიც ფარულად გაეგზავნა კიევში, თუ რა თქმა უნდა, იგი არ დაებრუნდება თავის კოლექტივს. „სპარტაკში“ რჩება ი. სევიდოვი, რომელმაც ადრე მოისურვა ახალ სეზონში მოსკოვის „დინამო